გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: gazetiilori@gmail.com

№372 (431) 19-26 ივლისი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## ბორის დავითაია: სამეგრელოში პროფესიული სწავლება მიმზიდველი ხდება

გვ.2

## იგორ კეკელია: ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვა, ანუ... ვინ არის ალექსი გაბისონია

გვ.6

## ბორის ბეჭვაია: ჩემი სოფლის დიდებული წარსული და გაუკუღმართებული დღევანდელობა

გვ.10



## სამეგრელო-ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა

გვ.7



## დავით თორდია: კოლხეთის დროშა — ვინ იყვნენ გოთები?

გვ.8-11



## ილია მეორე: საქართველოში 311 მეჩეთი მოქმედებს, თურქეთში კი არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი არ არის

გვ.9



## სენაკის მოსახლეობა სოფელ კოტიანეთთან კირქვის მოპოვებას აპროტესტებს

გვ.3-4

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: თაოდათაოს პრინციპი თუ ქვეყანა?

გვ.5

## ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ – გაზეთ “ილორის” რედაქციას!

გვ.4



...ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული და გვწამს რომ ჩვენი პატრიარქი და წმინდა სინოდი აუცილებლად გაითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას და მოძალადე მეუფე პეტრეს საკადრის პასუხს გასცემს.

წერილს ერთვის 150 ხელმოწერა;

ფოტოზე: სალხინოელთა საკუთარი მეტალოკონსტრუქციები, რომელიც გაყიდა მეუფე პეტრემ

გვ.11

# სამეგრელოში პროფესიული სწავლება მიმზიდველი ხდება



კლასიკური განათლების მიღებისაკენ მიდრეკილება უხსოვარი დროიდან ამკობდა კაცობრიობას. რომ საქართველო ამ მხრივ პირველთაგანთა შორისაა, ამაზე მეტყველებს დასავლეთ საქართველოში, ფაზისთან ახლოს, მესამე-მეოთხე საუკუნეში მოქმედი, **”მუზათა სკოლა”,** იგივე რიტორიკული აკადემია, რომელმაც კოლხეგრისელთა და არა მარტო მათი განსწავლების საქმეში დიდი როლი შეასრულა. სწორედ ამ სკოლის აღზრდილები იყვნენ ბიზანტიელი ფილოსოფოსი თემისტოსი და მისი მამა – ცნობილი ორატორი, აგრეთვე ეგრისელები: ფარტაძი, გუბაზი, აიეტი, წათე და სხვები.

შემდგომ იყო გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომელიც ითვლებოდა განათლებისა და კულტურის მძლავრ ცენტრებად, რომელთაც ხელმძღვანელობდა უგანათლებულესი არსენ იყალთოელი. დღეს განათლების სისტემა მიიჩნევა ყველაზე რთულ ორგანიზმად, რომლის მიმართ მუდმივად გამოითქმის შენიშვნები. ლევ ტოლსტოის აქვს შესანიშნავი განმარტება – **“აღზრდაც და განათლებაც განუყრელია. შეუძლებელია აღზარდო ისე, რომ ცოდნა არ გადასცე, ყოველგვარ ცოდნას კი აღმზრდელობითი გავლენა აქვს”.**

დიახაც, რომ ასე გახლავთ. მკითხველს მინდა შევთავაზო, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული უმაღლესი სასწავლებლის, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მოკლე რეზიუმე, რომელსაც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უძღვება პროფესორი თეონა ხუფენია. ეს გახლავთ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერი სამეცნიერო ცენტრი, სადაც ახალგაზრდობა იძენს ხარისხიან განათლებასა და, ამასთან, იგი მაღალი კულტურული აზროვნების ფორმირების გარანტიაა, ერთ-ერთი პირველთაგანია, სადაც ხორციელდება ერთდროულად აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიული განათლების მიღება რომ პრიორიტეტულია ქვეყანაში, ამას მტკიცება არ სჭირდება. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საკმაოდ დაგვიანებით მიღებული სახელმწიფო კანონი პროფესიული განვითარების შესახებ, ითვალისწინებს მოსახლეობის განვითარების დაცვის ხელშეწყობას, ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფას, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური მუშახელის ყოლას, პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბებას. ამასთან, საჭიროა შეიქმნას ერთიანი განათლების სივრცე, პროფესიული განათლება მიესადაგოს ადგილობრივ მოთხოვნილებებს, რეგიონის განვითარების პერსპექტივებს.

პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს ყველას, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები არჩეულ პროფესიაში, რაც საჭიროა მისი შემდგომი დასაქმებისა და საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიური გაძლიერებისათვის. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლება არის ყველაზე მოკლე გზა დასაქმებისაკენ.

ქალბატონ თეონა ხუფენიას ნიჭისა და მიზანმიმართული საქმიანობის დასტურია ის, რომ მან შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილი პროფესიული პროგრამების განვითარებისთვის შეარჩია რეგიონისთვის სათანადო სპეციალობები. ამასთან, ზუგდიდის პარალელურად, სენაკში გაიხსნა ბაზა, რომელსაც ადგილზე უძღვება გამოცდილი და ერუდირებული სპეციალისტი ქალბატონი მანანა ჭანტურია.

ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის რეორგანიზაციის ბაზაზე სენაკში შექმნილია ყველა პირობა მრავალმხრივი და კვალიფიციური პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად. ჯერ ერთი, ტერიტორიულად სენაკი მდებარეობს სამეგრელოს გულში. მეორე – ბაზას გააჩნია 20 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო მიწა, რომელთაგან შვიდი ჰექტარი გამოყენებულია ერთწლიანი მარცვლეული კულტურისთვის. აქ შესაძლებელია ახალგაზრდა დაეუფლოს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს მრავალი მიმართულებით. ამიტომ, უპირველესად, ჩამოყალიბდა ფერმერის ფაკულტეტი, სადაც მსურველს აქვს საშუალება კვალიფიციურად აითვისოს მეცხოველეობის, მეთევზეობის, მემცენარეობის და მეფუტკრეობის სპეციალობები, ასევე, შეისწავლოს ვეტერინარული მომსახურების სპეციალობა და ზოოტექნიკოსობა. დასახელებულ ფაკულტეტებზე სწავლება ორწელნახევარია.

სენაკის ბაზაზე უკვე გაშენდა თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით აღჭურვილი მეცხოველეობის ფერმა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 875 ათასი ლარი. გადაწყვეტილია შეიძინონ ჰოლანდიური ან ადგილობრივი კვარაცხელიას ჯიშის ძროხები და მოაშენონ და გამოზარდონ ისინი ადგილზე მომზადებული კადრების გამოყენებით.

სენაკის პროფესიული მომზადების კოლეჯს გააჩნია, ასევე, ცივი სათბური 504 კვ\მეტრზე, სადაც მოჰყავთ ბადრიჯანი, ბულგარული წიწაქა და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტები. ამასთან, ფუნქციონირებს 300 კვ მეტრი სათბური, რომელიც მზისა და ელექტროენერგიას იყენებს. ცხადია, პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურად ჩართულნი არიან მოსწავლე ახალგაზრდები. ანუ, სწავლება თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირში მიმდინარეობს.

ამავე სასწავლებელში ხორციელდება სწავლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მზადდებიან ბიზნესოპერატორები, ოფისმენეჯერები და ბუღალტრები. ასევე, ინჟინერიის მიმართულებით – ინფორმაციული ტექნოლოგები.

გათვალისწინებულ იქნა რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნილება სხვა სპეციალობებზეც. ამიტომ, ჯანდაცვის მიმართულებით შეიქმნა ფარმაცევტის თანაშემწისა და პრაქტიკოსი ექთნის მომზადების, .პედაგოგიკის მიმართულებით – ბაგა-ბაღის აღმზრდელისა და, იურიდიული განხრით – კრიმინალისტიკის ფაკულტეტები. სულ დასახელებულ სპეციალობებზე ამჟამად ჩარიცხულია 160 სტუდენტი, რომელთა მომზადებაზე ზრუნავენ კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებლები.

პროფესიულ სასწავლებელს გააჩნია თანამედროვე დონის მატერიალური ბაზა. სტუდენტების განკარგულებაშია სამსართულიანი კეთილმოწყობილი სასწავლო შენობა, უახლესი ავეჯით, რომლის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა მილიონ სამასი ათასი ლარი. შენობას აქვს ცალკე შესასვლელი ინკლუზიური სტუდენტებისთვის. ყოველ სართულზე მოწყობილია სველი წერტილი. შექმნილია მძლავრი კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა. შენდება სპორტული ბაზა და პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის რეკონსტრუქცია უტარდება სამსართულიანი სახლს, რომლის პირველი სართული დაეთმობა ღვინის სარდაფს (ეს შენობა ქალაქში ყველაზე ძველია. იგი ეკუთვნოდა თავად ხეციას, გაშენებულია უნიკალური ძველი აგურით და მისი პირველი სართული სავსებით შესაფერისია ღვინის სარდაფისთვის), მეორე სართულზე განთავსდება სასადილო, ხოლო მესამე სართული მთლიანად დაეთმობა სასტუმრო ოთახებს.

მრავალფეროვანი და საინტერესოა უნივერსიტეტისა და პროფესიული ფაკულტეტების სტუდენტთა შემოქმედებითი ცხოვრება. აქ იწვევენ მაღალი რანგის სტუმრებს და ეწყობა შეხვედრები ხელოვნების გამორჩეულ მოღვაწეებთან. ტარდება სპორტული ღონისძიებები, ზრუნავენ კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმებისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორ ქალბატონ თეონა ხუფენიას სავსებით სწორად აქვს გააზრებული, რომ მოსახლეობის განათლება და პროფესიული მომზადება უმთავრესია ქვეყნისთვის. მიუხედავად წინააღმდეგობებისა და რთული ჟამისა, მას არ ჩაუქნევია ხელი, არ ჩაუმუხლავს, გამოავლინა მებრძოლი ქალბატონის თვისებები. გვერდში დაიყენა თანამოაზრეები და ფრთები შეასხა საშვილიშვილო საქმეს, რასაც რეგიონში განათლებისა და კულტურის ცენტრის შექმნა ქვია. იგი სანახევროდ არაფერს აკეთებს. იცის, წრფელ მიზანსა და დაუღლელ შრომას შედეგი მოყვება, დარწმუნებული ვარ არასოდეს განუდგება საკუთარ თავს, რწმენასა და არჩეულ პროფესიას. აქვს მყარი პოზიცია და ეს გზა ნათელი და კეთილშობილურია.

ღირს ყოველივე ამისთვის ცხოვრება და მოღვაწეობა. დიდმა შექსპირმა ბრძანა: **“სადაც აზრი ძლიერია იქ საქმეც ღონიერიაო”.**

ჯერ არ ყოფილა უბირ და ზარმაც საზოგადოებას წარმატებისთვის მიეღწიოს. უმაღლესი ფასიანი განათლების საპირწონედ ხელისუფლებამ გამოიჩინა კეთილი ნება და ქვეყნის მოსახლეობას შესთავაზა უფასოდ დაეუფლონ საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების შესაფერის სპეციალობებს. ამ შანს გამოყენება უნდა. ვერ ვიტყვით, რომ მოსახლეობის პროფესიულ მომზადებაში ყველაფერი კეთდება და ხარვეზები არ არსებობს., უპირველესად საჭიროა ადამიანების დასაქმებისთვის ზრუნვა, სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მომავალის საქმეა და უნდა გამოსწორდეს.

უნიჭიერესმა თანამემამულე ვაჟა ფშაველამ დაგვმოძღვრა: **“საცაა სწავლაა, ქალაქიც იქ არის, თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გარდაიქმნებაო”.** დიახაც, მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად დღითიდღე იხვეწება, როგორც ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი და ის მიმზიდველი ხდება ახალგაზრდებისათვის. ასევე ფართოვდება პროფესიულ ფაკულტეტებზე ჩარიცხულთა მატერიალური ბაზა და შესაბამისად მატულობს სტუდენტთა რაოდენობა.

იმედი გვაქვს, რომ განათლების სამინისტრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს რეგიონის მოსწავლე ახალგაზრდობის კლასიკური და პროფესიული განათლების ასამაღლებლად.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

# თინა (თინათინ) ქვანია-გოგინავა – ეროვნული ქალბატონი

თინა ქვანია-გოგინავა დაიბადა 1933 წელს, სენაკის რაიონის სოფ. ეკში. დიდია მისი ღვაწლი და წვლილი ეროვნულ მოძრაობაში. ის იყო სამართლიანი, შეუდრეკელი, უშიშარი და პირუთვნელი ძლიერთა წინაშე. ამავე დროს თბილი და ჰუმანური, ტრადიციულად სტუმართმოყვარე, ყველა სხვა ბუნებრივი სიკეთით შემკობილ-დაჯილდოებული. მასთან შესისხლხორცებული იყო სამი სიწმინდე – ენა, მამული, სარწმუნოება და მისგან გამომავალი სამი უდიდესი და შეუდარებელი საუნჯე – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. მან ყველაფერი სამშობლოს, მამულის სიყვარულს მიუძღვნა.

ამიტომაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდიაც მას, ახალი ქართვლის გმირ დედას უწოდებდა და თინა დეიდათი მიმართავდა მას.

პრეზიდენტი გროზნოში ხშირად უყურებდა იმ ვიდეო-კადრებს, რომელშიც ქალბატონი თინა მიუძღვის წინ ზღვა ხალხს და იძახის: **“ხუნტის ჯალათებო! ჯალათებო!”** შემდეგ ადიოდა ტრიბუნაზე და მგზნებარე ცეცხლიან სიტყვებს აფრქვევდა, გმობდა ყოველგვარ შეიარაღებულ დაპირისპირებას. ერთ-ერთი მიტინგის მსვლელობისას ქალბატონმა თინამ, **”პუტჩისტ”** ჯაბა იოსელიანს, ხელებიდან ეროვნული დროშა გამოგლიჯა და ეუბნება, შენ არა ხარ ღირსი ეს დროშა გეჭიროს ხელშიო. ზვიადი ყოველთვის ტიროდა ამ კადრების ხილვისას.

2003 წლის ნოემბრის მიტინგებზე ძლიერი წვიმები იდგა, იგონებს ქალბატონი თინა. მიუხედავად კოკისპირული წვიმებისა გაუნძრევლად ვიდექი. უცნობმა ქალბატონმა საწვიმარი გადამაფარა და მეუბნება, თქვენ ყველაზე გმირულად გიჭირავთ თავიო და ეს საწვიმარიც სპეციალურად თქვენთვის წამოვიღეო სახლიდანო. ჩემი გვარი რომ ვუთხარი, სიხარულისგან შეჰყვირა, მე ზურაბის დედა ვარო. მას შემდეგ სულ ზურაბ ქვანიას სახლში მივყავდი ღამის გასათევად.

ქალბატონმა თინამ შესანიშნავი ლამაზი შვილები გაუზარდა სამშობლოს. სწორედ ასეთებზეა ნათქვამი **“ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა”.** რომელი ერთი ჩამოვთვალოთ ქალბატონები: ლია, ლუარა და ბატონი რეზო, რომელიც აფხაზეთის მოვლენებში გამოირჩეოდა. მათი სასახელო შვილიშვილები, ბატონი ალექსანდრე (ალიკა) ჩიკვაიძე, რომელიც დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.

ქალბატონ თინას ცხოვრება იავარდებით არ ყოფილა მოფენილი, მისი ვაჟკაცი მერაბი, სრულიად ახალგაზრდა რუსეთში ტრაგიკულად დაიღუპა.

დიდი კოლხ-იბერი ქალბატონი თინა ქვანია-გოგინავა 2007 წელს გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, ის ეროვნული დროშა, რომელიც მან იოსელიანს წაართვა, საფლავში ჩაატანეს. ნათელში იყოს ქალბატონი თინას სული, ფარავდეს ნათელი უფლისა!

**ბიჭიკო თუნთია,**
**სენაკი**

# “ბურჭულაძეს გამოუჩნდა კონკურენტი კახი კავსაძის სახით, რომელიც პარტიის “გვეშველება რამე?” შექმნას აპირებს” – *ქანთარიას განცხადება*

მე ვფიქრობ, რომ პაატა ბურჭულაძეს გამოუჩნდა კონკურენტი კახი კავსაძის სახით, რომელიც პარტიის **”გვეშველება რამე?”** შექმნას აპირებს – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პაატა ბურჭულაძის საქმიანობის შეფასებისას განაცხადა.

როგორც ქანთარიამ აღნიშნა, მას პაატა ბურჭულაძე ნაცების პოლიტიკური პროექტი გონია, რომელიც არასერიოზული ძალაა.

**“ვფიქრობ, რომ პაატა ბურჭულაძეს გამოუჩნდა კონკურენტი კახი კავსაძის სახით, რომელიც პარტიის ”გვეშველება რამე?” შექმნას აპირებს. ვფიქრობ, გაცილებით მეტი მხარდამჭერი ეყოლება ბატონ კახის.**

**რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, რომელსაც პრემიერობა საკმაოდ მარტივი ჰგონია, სჯობდა თავდაპირველად მას მერის არჩევნებში ეყარა კენჭი და ეჩვენებინა ყველასთვის, რომ მას შეუძლია ქალაქის ან უბნის მართვა. მე მგონია, რომ ეს პროექტი არის არასერიოზული. თუ მას პოლიტიკა უნდოდა, იყო საქართველოში ბევრი მსგავსი სიტუაცია – 2007, 2008 ან თუნდაც 2012 წელს. თუმცა, მე პაატა ბურჭულაძე პროექტი მგონია, რომელსაც გარკვეული ლობისტები ჰყავს ამერიკასა და ოდესაში”,–** განაცხადა ალექსანდრე ქანთარიამ.

# სენაკის მოსახლეობა სოფელ კოტიანეთთან კირქვის მოპოვებას აპროტესტებს

ნინო ლურსმანაშვილი

*ამ სათაურით ვიწყებთ წერილების ციკლის ბეჭდვას.*

**„ცეზარ ჩოჩელი ჩინელებთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსირში, ცემენტის ქარხნის გახსნას აპირებს, ცემენტის მისაღებად საჭირო კირქვას კი, დაახლოებით 11 კილომეტრში მდებარე სოფელ კოტიანეთთან, თავის დროზე დაკონსერვებული კარიერიდან მოიპოვებენ",** – ერთი შეხედვით ურიგო სიახლე არაა. ქარხანა აგუგუნდება, მუნიციპალიტეტი გამოცოცხლდება, ხალხი დასაქმდება... თუმცა, ისევე, როგორც ყველა მედალს, ამ ამბავსაც აქვს მეორე მხარე, რომელიც არც თუ სახარბიელო კი არა, საგანგაშოცაა. ცემენტის ქარხანა, დაკონსერვებული საბადოს გახსნა, ჩინელები... – გონებაში ინფორმაცია გადალაგდა და ძველი ამბებიც ამოტივტივდა, ისეთები რომლებზეც **„ვერსია"** ადრეც წერდა. ყველაფერი ერთად გამახსენდა – წლების წინ, კასპში ცემენტის ქარხნის ამოქმედება, კარიერის გახსნა, რომელიც დროდადრო მოცულობაში კატასტროფულად გაიზარდა, **„ცემენტის მტვერი"** კი, ქარხანაზე შესაბამისი ფილტრების დამონტაჟების შემდეგაც, კასპის მკვიდრთათვის საბედისწერო პრობლემად იქცა – ნათესები დაზიანდა, ადგილობრივებში, განსაკუთრებით ბავშვებში, ჩიყვითა და ალერგიით დაავადებულთა რიცხვმა იმატა. გამახსენდა ექიმების კომენტარები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დაავადების მომრავლება სწორედ ცემენტის მტვრის გაფრქვევის შედეგია. გონებაში სუფსის ტერმინალიც ამოტივტივდა, რომლის მშენებლობის დროსაც, რაიონი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დადგა. **„ზვარეს"** მინერალური წყლის შემთხვევაც გამახსენდა – ჩინურ ინვესტიციას და რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობას, ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, მინერალური წყლის საბადო ეწირება. ადგილობრივები კი, აპროტესტებენ, რომ მდინარე ზვარულა დაბინძურებულია, დაპირებული სამუშაო ადგილებზე კი, ჩინელები დასაქმდნენ, რომლებიც ინვესტორებმა სოფელში ჩამოასახლეს. ისინი გარემოსაც უდიერად ეპყრობიან – მდინარეში ნაგავს, პამპერსსა და ჰიგიენურ პაკეტებს ყრიან, სოფლელების ძაღლებსაც წვავენ შამფურებზე, რის გამოც, ადგილობრივებსა და ჩინელებს შორის არაერთი დაპირისპირება უკვე მოხდა. მუშახელად, თითზე ჩამოსათვლელი ქართველიც კი არ აუყვანია არავის...

სანამ იმის გარკვევას დავიწყებდი, რა ზემოქმედებას მოახდენს კოტიანეთთან კირქვის მოპოვება და ნოსირში ცემენტის ქარხნის ამოქმედება გარემოსა და ადგილობრივების ჯანმრთელობაზე, ინტერნეტსივრცეში სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ზურაბ კვარაცხელიას პროტესტიც **„წამომეწია"**. კვარაცხელია ამტკიცებს, რომ ჩოჩელის **„საუკუნის პროექტით"** პრობლემა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შეექმნება, რომელთა სიუხვითაც სენაკის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მისამართით, ზურაბ კვარაცხელიას მიერ გავრცელებულ მიმართვაში იმაზეცაა საუბარი, რომ კოტიანეთთან, თავის დროზე კირქვის საბადო მნიშვნელოვანი მიზეზის გამო დაიხურა – მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, ამავე კარიერის გახსნას სოფელ ეკის მკვიდრი, ტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ლაბორატორიის ინჟინერ ლაბორანტი ჯულიეტა ადამია შეეწინააღმდეგა. მან პროცესში ტაშკენტის ლაბორატორიაც ჩართო, რომელმაც კვლევის შედეგად დადო დასკვნა, რომ რელიეფის მრავალფეროვნება და ჰაერის ტენიანობა, ხელს უწყობს მდინარეთა ქსელების სიხშირეს, რის გამოც, ეკის მთა და მისი მიმდებარე ტერიტორია მდიდარია მიწისქვეშა წყლებით. აქ არის ასევე თერმული, მინერალური და კარსტული მტკნარი წყაროებიც. ტაშკენტის ლაბორატორიის დასკვნის მიხედვით, კარიერი და მისი მიმდებარე ტერიტორია ფაქტობრივად დგას ტბაზე და ხელოვნურად, თუნდაც ერთი ლოდის ჩამოშლის შემთხვევაშიც კი, შეიძლება მთაზე ბუნებრივად უმართავი პროცესები დაიწყოს, რაც არამხოლოდ სენაკის რაიონს, არამედ, ზოგადად, კოლხეთის დაბლობსაც კი დააზარალებს.

ეს ინფორმაცია და ერთი ზარი ადგილობრივ მოსახლესთან, მისი გულისტკივილი, ეკის მთა და სამეგრელოს სიმდიდრე თავზე გვექცევაო, საკმარისი მიზეზი იყო იმისთვის **„ვერსიას"** ჟურნალისტური მოკვლევა და იმის გარკვევა დაეწყო, აგუგუნებული ქარხნისა და დასაქმებული ადგილობრივების მიღმა, რას **„გულისხმობს"** ჩოჩელის პროექტი, რა საფრთხეებს შეიცავს და მართლაც ემუქრება თუ არა სენაკის მუნიციპალიტეტს, კოლხეთის დაბლობს, ეკოლოგიური საფრთხე.

გაგონილს ნანახი სჯობსო, ნათქვამია. ძველი სენაკი, კოტიანეთი, შრომისკარი, ეკი, საადამიო, ნოსირი, ნოქალაქევი... ფეხდაფეხ მოვიარეთ ყველა ადგილი, რომელთანაც კირქვის კარიერი ახლოსაა. შევხვდით ადგილობრივებს, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო, ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ (ამიტომ, სტატიაში მათი სახელები შეცვლილია), დაკონსერვებული საბადოს გახსნას აპროტესტებენ, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ამ გაჭირვების დროს, მათთვის დასაქმება მნიშვნელოვანია. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და ყველა მნიშვნელოვანი ადგილის ფოტომასალა შევაგროვეთ... წარმოდგენის უკეთ შესაქმნელად კი, სპეციალურ რეპორტაჟს გთავაზობთ. ვეცდებით, ჩვენთან ერთად გაგატაროთ გზა, რომელიც „ვერსიამ" ჟურნალისტური გამოძიების პირველ ეტაპზე, თბილისიდან სამეგრელომდე გაიარა.

თუ საქართველოში ერთი ადამიანი მაინცაა დარჩენილი, ვისაც სამეგრელო, კერძოდ სენაკის მუნიციპალიტეტი არ უნახავს, გურამ დოჩანაშვილის სტილით რომ ვთქვათ, ნამდვილი **„მისალოცია"** – მეგრული კოხტა ოდები, ისე საგულდაგულოდ მოვლილი ეზოები, მეგრელებს რომ ახასიათებთ, საოცარი ბუნება და სიმწვანეში ჩაფლული, არაერთი ძეგლი, რომელთა დიდი ნაწილიც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.

სენაკში სხვა ძეგლებთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე საამაყო, შხეფის ციხეა – მთაზე შემდგარი, შუასაუკუნეების ციხე, რომლის ორი კოშკი და გალავანი, კარგადაა შემონახული. გადმოცემით, შხეფის ციხეს ხშირად საპატიო პატიმართა საპყრობილედ იყენებდნენ. აქ გარდაიცვალა ტყვეობაში იმერეთის მეფე ლევანი. ასეთი ციხით ნებისმიერი ნორმალური იამაყებდა. მოაწესრიგებდა, ტურისტებისთვის ტურებს დანიშნავდა და ქვეყნის ბიუჯეტს, შესაბამისად, თითოეულ მოქალაქესაც ახეირებდა, მაგრამ საქართველოში ხომ, ხშირად ხდება ყველაფერი პირიქით...

შხეფის ციხეს გაცდებით და შორი გზა არ გაშორებთ იმ ადგილს, საიდანაც, კოტიანეთის გადასახვევი იწყება. **„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. აქეთ შეუხვიეთ და გზას პირდაპირ გაუყევით, ბაბუ"**, – არ გვიცნობს, მაგრამ თბილად გვიღიმის კოხტად ჩაცმული სენაკელი ბაბუ. კოტიანეთისკენ უკვე ცუდი გზა მიდის. ამ გზას, არც ახლანდელი, არც წინა და არც იმის წინა ხელისუფლების ხელი ეტყობა. საარჩევნოდაც მივიწყებული მგონია ეს სოფელი და ვინტერესდები რამდენი კომლი ცხოვრობს. კიდევ ერთი ბაბუ ველოსიპედით მოსეირნობს, ვეკითხებით, რამდენი მოსახლეა სოფელში, 300 კომლამდე იქნებაო, გვპასუხობს.

კირქვის საბადოსკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს მეგრული ოდები, კარმიდამოები და ნარგავებია. სადაც სახლები არაა, უზარმაზარი ხეები დგას. ყველაფერი მწვანეა. ნათესები მოვლილია. ზოგან ადგილობრივები ფუსფუსებენ. რამდენიმე ეზოში ველოსიპედი შევნიშნე. ყვარებიათ მეგრელებს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი, რომელიც გამონაბოლქვით არ აზიანებს გარემოს. გამონაბოლქვზე ისევ კირქვა-ცემენტის მტვერი მახსენდება. ალბათ ეს ის გზაა, საიდანაც კირქვა ქარხნამდე უნდა ატარონ სატვირთო მანქანებით. უცებ წარმოვიდგინე რა ელოდება წლების განმავლობაში ამ სიმწვანეს – ნათესები განადგურდება, ხეების ფოთლებს მონაცრისფრო მტვერი დაედება, წყალი დაბინძურდება... ემოციური სენტიმენტებისგან მაშინ ვერკვევი, როცა პატარა ხიდს ვუახლოვდებით და მის გვერდით, ჩამოშლილ მთას ვამჩნევ. ესეც კირქვის საბადოა ალბათ, ვფიქრობ, მაგრამ რუკა გვაჩვენებს, რომ ჩვენი დანიშნულების წერტილი დაახლოებით ერთ კილომეტრშია. ჩამოშლილი მთის წინ დიდი მდელოა, პირუტყვშეფენილი. აშკარაა, ამ მდელოს ადგილობრივები საძოვრად იყენებენ.

დაახლოებით 500 მეტრში გზა იყოფა. მარჯვნივ კიდევ ერთი პატარა ხიდია, ხიდის წინ ახალაშენებული თუ ახლადგარემონტებული პატარა შენობა. ეზოში ცემენტის ტომრები ყრია და რამდენიმე კაცი მუშაობს. ვუახლოვდებით. კარიერის შესახებ ვეკითხებით და ვცდილობთ, მათი განწყობა გავიგოთ: **„ამ ხიდზე გადახვალთ, პირდაპირ ივლით და ჩინელების კარიერთან მიხვალთ. არავინ არაა ჯერ იქ. არ მუშაობენ. ამბობენ, მალე ჩამოვლენო. ამ შენობაში უნდა იცხოვრონ. კიდევ რამდენიმე შენობა აქვთ არჩეული და ალბათ იქაც შესახლდებიან"**,– გვიხსნის ერთ-ერთი და კითხვაზე, კი მაგრამ რამდენი ჩინელი აპირებს ჩამოსვლას, შენობებს რომ იმზადებენ-თქო, მხრების აჩეჩვით მპასუხობს. **„რა ვიცი, ამბობენ, ადგილობრივებს დავასაქმებთო, მაგრამ მგონი იმდენი ჩინელი ჩამოვა, ჩვენი სამუშაო ადგილი აღარ იქნება"**, – საუბარში მეორე ადგილობრივი ერთვება, პირობითად, თამაზი. იგი ცდილობს პატივი გვცეს და ჩვენთან ერთად მოდის, გვპირდება, გიდის ფუნქციას შევითავსებო. გზად ხალხის განწყობაზე ვსაუბრობთ: **„იყვნენ უკვე ჩინელები აქ. სინჯები აიღეს. ბურღეს რაღაცები და წავიდნენ. ამბობენ, ქარხანა თვის ბოლოს უნდა გახსნანო. აქ ხალხს უხარია, იქნებ რამე გვეშველოს და დავსაქმდეთო, მაგრამ თან ეშინიათ. ამბობენ, აგერ, ჩვენი მთავრობები გვპირდებიან დასაქმებას და დაპირებას არ ასრულებენ და რომ მოგვატყუონ, ამ ჩინელებს რა პასუხი მოვთხოვოთო. ჩინელები ამბობენ, 500 კაცს საბადოზე, 800 კაცს კი ქარხანაში დავასაქმებთო, მაგრამ ხომ შეიძლება ასე არ მოხდეს? თანაც, ხალხი იმაზეც ფიქრობს, ბუნება არ დააზიანონ. გვეშინია, იმ მთას რომ მოხსნიან, რამე პრობლემები არ შეიქმნას"**. სხვათაშორის, სანამ გზაგასაყარზე გადმოუხვევდით, მდელოს წინ, კიდევ იყო ერთი საბადო. **"ეგ საბადოც დალუქული იყო, მერე „ოცნების" კაცმა, დემურ გადელიამ გახსნა, მაგრამ 2 წლის წინ დაახურინეს – დავით ლომიტაშვილი იყო ამოსული და თქვა, მთაზე, რომელზეც კარიერია, მეექვსე საუკუნის ციხის ნანგრევებია და ეს ციხე შხეფის ციხესთან და ნოქალაქევთანაა დაკავშირებულიო. ამის მერე კულტურის სამინისტრომ დაახურინა გადელიას კარიერი. ახლა აქეთ იწყებენ კირქვის მოპოვებას. თავიდან მეგონა, ისევ გადელიასი იყო, მაგრამ ჩოჩელისაა და ჩინელები მოყავსო, გავიგეთ. ამ ჩინელების ჩამოსახლებაც არ გვინდა. ქარხანაც აქვე უნდოდათ აეშენებინათ, მაგრამ არ მივეცით უფლება, მიწები არ მივყიდეთ"**.

თამაზმა ისიც აგვიხსნა, რომ კარიერიდან პატარა გზის გაკეთებას აპირებენ ცენტრალურ ტრასამდე, რომ სატვირთო მანქანებით პირდაპირ დასახლებაში არ იარონ. ალბათ ეს გადაწყვეტილება უფრო სათავისოდ მიიღეს – გზა დაიმოკლეს, თორემ, ცენტრალური გზიდან ნოსირამდეც თითქმის მთელი გზის გაყოლებაზე მოსახლეების სახლებია და, როგორც ჩანს, არავის უფიქრია, რომ კირქვის მტვერი მათ ნარგავებს, წყალს, ჯანმრთელობასაც შეუქმნის საფრთხეს.

მთას ვუახლოვდებით. თამაზი მთის ძირში, ოდნავ ამოთხრილ კირქვას ადებს ხელს, მე კი გაოცებას ვერ ვფარავ – ესაა კარიერი? კიო, მპასუხობს და მიხსნის, რომ აქ ჯერჯერობით მხოლოდ სინჯია აღებული. სინჯები, რამდენიმე კვირის წინ, მთის გაყოლებაზე, 3 კილომეტრის მანძილზე აიღეს. აი, ესაა მთა, რომელსაც პატარა ქედსაც თამამად ვუწოდებთ. რომლის გადაღმაც ნოქალაქევი, ცოტა ქვემოთ ეკია, სადაც ასევეა კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ძეგლები, იქვეა საადამიო, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ უნიკალური მღვიმეები აღმოაჩინეს. ამ მღვიმეებს, ზოგი ადგილობრივი **„მეორე სათაფლიასაც"** უწოდებს და იქ, ქართველებთან ერთად, უცხოელი სპეციალისტები კვლევებს დღემდე აგრძელებენ. მთას ერთი მხრიდან თუ მოხსნი, ლოგიკურად, პრობლემა მეორე მხარესაც შეექმნება – ვფიქრობ და ტაშკენტის ლაბორატორიის დასკვნა მახსენდება – **„მთა წყალზე დგას, ერთი ლოდის ჩამოშლასაც კი, შეიძლება კატასტროფა მოყვეს და პრობლემა, მთელ კოლხეთის დაბლობს შეექმნას..."**

მთა რომ წყალზე დგას, ამას უკვე ჯემალი (სახელი აქაც შეცვლილია) გვიდასტურებს, რომელიც კარიერიდან დაახლოებით 400 მეტრში ცხოვრობს. ამბობს, რომ აქ, კარიერის ახლომახლო, დაახლოებით 30 კომლია. სასმელად ჭის წყალს იყენებენ, თუმცა წყაროებიც აქვთ: **„აგერ ორი წყარო ჩამოდის. ერთი კი, არც ისე დიდი ხნის წინ, ეზოსთან აღმოვაჩინე. წერაქვი დავკარი და წყალმა ამოჩქეფა. მიწისქვეშა წყლებიც ძალიან ბევრია. მახსოვს, 70-იან წლებში, ბავშვი ვიყავი, გეოლოგები იყვნენ ჩამოსულები, რაღაცებს აფეთქებდნენ და ასე თქვეს, ქვევით წყალი ისე მიედინება, როგორც ტეხურაო. ისიც მახსოვს, ადრე აქ პროფესორები ჩამოვიდნენ. 7 მიწისქვეშა წყლის სინჯი აიღეს და აღმოჩნდა, შვიდივეს სხვადასხვა შემადგენლობა ჰქონდა. პროფესორები იმასაც კი ამბობდნენ, ეს ისეთი წყლებია, რომ მივხედოთ, კურორტ „მენჯსაც" კი ფასი დაეკარგებაო"**.

ბატონი ჯემალი იმასაც გვიმხელს, რომ მთის ბურღვისას, ჩინელებმა ერთ-ერთ წყაროს, რომელსაც ადგილობრივები სასმელადაც იყენებდნენ, მიწა და ნაგავი მიაყარეს, რის შემდეგაც წყარო ხშირად შრება: **„აგერ, მობრძანდით. ეს წყალი ადრე კამკამა იყო. ახლა ხედავთ, ქვა-ღორღითაა ჩახერგილი. მიწას და ნაგავს რომ აყრიდნენ, გამოვედი, მაგრამ ხმა ამოვიღე თუ არა, შენ ვინ გეკითხებაო, მითხრეს. ასეთივე პასუხი გამცეს, როცა ვიკითხე, კარიერიდან ყურისძირში ვინც ვცხოვრობთ, მთას რომ მოშლით, რა გველის-თქო? მითხრეს, მთავრობიდან გვაქვს ნებართვა და თქვენ არაფერში გეხებით, აქედან მარტო ქვას ავიღებთ და ქარხანაში წავიღებთო. არანაირი შემოსავალი არ მაქვს. იმედია, დაგვასაქმებენ და ორი კაპიკი გაჩნდება, მაგრამ ამ ბუნებას რა ეშველება? ან რა გარანტია გვაქვს, რომ ჩოჩელი და ჩინელები დანაპირებს შეასრულებენ? რომ არ დაგვასაქმონ, პასუხი ვის მოვთხოვოთ? შეიძლება ამ ჩოჩელის უკანაც ვიღაც დგას. შეიძლება, გადელიას ის კარიერი რომ დაუხურეს, გამწარდა და ჩოჩელი მაგან შემოიყვანა აქ და ისევ ეგ იყოს ყველაფრის თავი და თავი. არ გაძღა ეს გადელია არაფრით. ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება და ძალიან ვნერვიულობთ. ასე თუ დაგვიბინძურეს წყალი და გარემო, რა გვეშველება? ან საქონელი სად უნდა გავუშვათ საბალახოდ მერე?"**

**„ჯერ კირქვის მოპოვება არ დაუწყიათ და გარემო უკვე დააზარალეს",** – ფიქრებიდან ისევ ადგილობრივი ჯემალი მაფხიზლებს, ჩახერგილ და თითქმის დამშრალ წყაროსთან, აცრემლებული დგას და ემოციებს მაშინაც ვერ ერევა, როცა ერთი დიდი ხის მოჭრის ამბავს გვიამბობს. აქ ყველა ხე, შვილებივით გვყავს გამოზრდილიო, – ამბობს და გვიმხელს, რომ კოტიანეთელები, ბუნების გამო, ძალიან ნერვიულობენ. გაურკვევლობაში არიან, ვეღარ გაუგიათ, გაუხარდეთ კარიერის ამოქმედება სავარაუდო სამუშაო ადგილების გამო თუ ეკოლოგიური ზარალის გამო, სერიოზულად აღუდგნენ წინ ამ პროექტს.

ნერვიულობა, როგორც ჩანს, მთის გადაღმა, ეკისა და შრომისკარის მოსახლეობისთვისაც არაა უცხო – კოტიანელები ამბობენ, რომ მთის იქითა სოფლებში მაცხოვრებლები, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კარიერის გახსნას. დამშვიდობებისას იმედს გამოთქვამენ, რომ ხელისუფლება და ინვესტორი, ბიზნესინტერესებს სამეგრელოს საამაყო ადგილს არ შესწირავს.

მთის გადაღმა მაცხოვრებლების აზრის გასაგებად, მთავარი გზით, ქედს გარშემო ვუვლით. მოკლე მანძილით მგზავრობას ვცდილობთ, გვინდა ფართო წყლის ტბამდე მანქანით მივიდეთ, მაგრამ უგზოობის გამო, ეს შეუძლებელი ხდება. ისევ ცენტრალურ ტრასაზე ვბრუნდებით, გზად კიდევ რამდენიმე მაცხოვრებელს ვესაუბრებით, რომლებიც სენაკში ჩინელების ჩამოსახლებას ეწინააღმდეგებიან. ყველა ეროვნების ადამიანს პატივს ვცემთ, მაგრამ აქ ბევრი ჩინელი რომ ჩამოვიდეს, არ გვესიამოვნებაო, – ამბობენ. ძველ სენაკში ახლა უკვე ეკის მიმართულებით გადასახვევს ვეძებთ. გზად ახალმოწამეთა სახელობის ტაძარი გვხვდება. ეკის შესახვევში კი, დიდი ტრაფარეტი ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის მოახლოებას გვაუწყებს. ეს სწორედ ის ეკლესიაა, რომელიც „კარიერის მთაზე, ოღონდ სხვა მხრიდან მდებარეობს. მონასტერი სიმწვანეშია ჩაფლული. ისიც იმ ძეგლების რიცხვშია, რომელსაც კარიერისა და ქარხნის ამოქმედებისას, შესაძლოა საფრთხე დაემუქროს.

*(გაგრძელება მე-4 გვერდზე)*

# გაზეთ "ილორის" რედაქციას!

***ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ***

ბატონო რედაქტორო!

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი გაზეთის 2016 წლის 5-12 ივლისის №370 ნომერში გამოქვეყნებული, ჩემი მეუღლე გია ჯალაღონიასადმი მიძღვნილი ღია წერილისათვის, რომელიც ფაქტიურად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივის მხარდაჭერას წარმოადგენს. როგორც ჩემმა მეუღლემ, ასევე მისმა ყველა კოლეგამ ძალიან კარგად იცის, რომ ქვეყნის დემოკრატიულ მონაპოვარს, რომელიც სრულად იყო იგნორირებული წინა ხელისუფლების მიერ, განუხრელად დაცვა სჭირდება, ხალხს უნდა მიეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, რადგან ხალხის ძალდაუტანებელი არჩევანი არასოდეს იქნება მიმართული ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ. სწორედ ეს არ ასვენებს ხელისუფლებაში ძალით მოსვლის მსურველ ავადსახსენებელ ნაციონალებს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ნორმალურად წარმართული საარჩევნო პროცესები მათ კარგს არაფერს უქადის. ამიტომ ცდილობენ რეაქციული ძალები უწესრიგობების პროვოცირებას, რომლის აღკვეთა და სიტუაციის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება სწორედაც რომ პოლიციამ უნდა უზრუნველჰყოს!

ის რომ პოლიციელი არაპოლიტიზირებულია, გაზეთმა ყველაზე კარგად იცის. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ჩემს პოლიტიკურ კურსსაც. რა თქმა უნდა, მე ვიყავი და ვარ **„ქართული ოცნების"** მხარდამჭერი, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის უდიდესი ქომაგი. აქედან გამომდინარე ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ჩემი მეუღლის პოზიციაც. ჩვენ ყოველთვის ვიდექით და დავდგებით ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე. ამიტომ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მსურს მოგახსენოთ თანადგომისათვის.

პოლიციის მუშაკთა პასუხიმგებლობას აძლიერებს ისიც, რომ არჩევნებისას ნორმალური სიტუაციის უზრუნველსაყოფად მათ უნდა იმორიგეონ ყველა საარჩევნო უბანთან, რაც ზედმეტ სალაპარაკოს მისცემს რეაქციონერ ყიამყრალებს. მაგრამ მათ ბინძურ განაზრახებს აღსრულება არ უწერია და ყველას გვჯერა, რომ პოლიციელთა პრინციპულობის წყალობით, არჩევნები ნორმალურად ჩაივლის!

პატივისცემით,

**ჩხოროწყუს რაიონის პოლიციის უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის გია ჯალაღონიას მეუღლე,**
**თამუნა ქობალია**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: აღნიშნული ღია წერილი მართლაც მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივის მხარდაჭერა გახლავთ, რადგან ფაქტია, რომ 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მეტი ჯაფა სწორედაც რომ პოლიციელებს დაადგებათ. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებისადმი მიძღვნილი ამგვარი ღია წერილები შეფასდეს როგორც მათი მხარდაჭერა, რომელთა კორექტულ საქმიანობასა და ფაქტებისადმი ობიექტური მიდგომაზე არის სრულად დამოკიდებული იმ არჩევნების ბედი, რომელსაც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მთელი ცივილიზებული სამყარო. ჩვენი ამგვარი სოლიდარობა არ არის პოლიციისადმი იმის მოწოდება, რომ მათ მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას. ჯერ ერთი, ჩვენ იმის ტაქტი ნამდვილად გაგვაჩნია, რომ ასე უაპელაციოდ არ ჩავერიოთა სამართალდამცავთა საქმეებში და მათ მაგივრად არ გავაკეთოთ არჩევანი. ჩვენ, უბრალოდ, ვაფიქსირებთ იმ ფაქტს, რომ პოლიციელს არა აქვს თავისი პოლიტიკური მრწამსის ღიად გაცხადებისა და პროპაგანდირების უფლება, მაგრამ საკუთარი პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უფლება მისთვის არავის აღუკვეთავს.**

**ძნელად ასახსნელი ამ კონცეფციაში არაფერია, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაციონალ არამზადებს (რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდე უხვად არიან ჩვენს სათაყვანებელ კუთხეში) მოსვენებას უკარგავს ის გარემოება, რომ ნორმალურად ჩატარებულ არჩევნებში ისინი მინიმალურ ზღვარსაც კი ვერ გადალახავენ. ამიტომ ცდილობენ, რომ ყოველ გაჟღერებულ ფრაზაში მათ წინააღმდეგ მიმართული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები დააფიქსირონ და პოლიციის საქმეებში უკანონო ჩარევად ჩაგვითვალონ.**

**მაგრამ, როგორც დიდი შოთა ბრძანებს: "შიში ვერ იხსნის სიკვდილსა..."**

**ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, დავამატებთ, რომ კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა. მხოლოდ გონებასუსტ დეგენერირებულ პიროვნებას, ან ანგაჟირებულ და მოქრთამულ არამზადას თუ მოელანდება აღნიშნულ ღია წერილში იმ აზრის გაჟღერება, რომ პოლიციელ გია ჯალაღონიას მცდარი პოლიტიკური პოზიცია უკავია, ხმა უნდა მისცეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას და არ დადგეს ბარიკადის იმ მხარეს, რომელზეც დგას საქართველოს განადგურებას მოწადინებული პოლიტიკური ძალა. არა მგონია, რომ მაღალი იურიდიული განათლების მქონე პიროვნებას იმის შთაგონება სჭირდებოდეს, თუ "...ვინ მტერია და ვინ არა..."**

**სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ არასოდეს ვუბიძგებთ ახალგაზრდა ადამიანს დანაშაულის ჩადენისაკენ, რადგან ე.წ. "წესრიგის დაცვა" ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის პოზიციიდან უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულია, რის გამოც ხეხავს ამჟამად ციხის კედლებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი. თანაც, არა მგონია პოლიციაში სამუშაოდ მიიღონ ადამიანი, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება არა აქვს და საკონსულტაციოდ სხვას მიმართავს. პირიქით, ჩვენ გია ჯალაღონიას და მის ყველა კოლეგას მოვუწოდებთ, რომ შეურყევლად იდგნენ საზოგადოების სიმშვიდის სადარაჯოზე, რაც ყოველი სახის არჩევნების ნორმალურად ჩატარების მყარი გარანტია გახლავთ!**

**ბატონი გიასი რა მოგახსენოთ – იგი თავად გააკეთებს საკუთარ არჩევანს, რომელსაც ჩვენ ყოველთვის პატივისცემით მოვეკიდებით, პირადად ჩვენ კი ქვეყნის დამანგრეველ ძალად ქართველების სისხლს მოწყურებული ის სომხურ-დაშნაკური "ნაცმოძრაობა" მიგვაჩნია, რომელსაც ნარკომანი, თავქარქაშა, სიფილისით დაავადებული მექალთანე და სულბინძური არამზადა მიხეილ სააკაშვილი (გარეგინ სააკიანცი) ხელმძღვანელობს!**

**ასე იქნება მარადის, ვიდრე ერთი ნაცი მაინც იბოგინებს დედამიწის ზურგზე და მხოლოდ მაშინ ჩავთვლით ჩვენს მამულიშვილურ მისიას შესრულებულად, როცა უკანასკნელი ნაცის პოლიტიკურ საფლავს წავაყრით მიწის სქელ ფენას! და თუ ამას პირადად მე ვერ მოვესწრები, აუცილებლად გააკეთებს ჩვენი მომავალი თაობა, რადგან საქართველო მარადიულია და მის დაჩოქებას ვერცერთი მახინჯი და სააკაშვილისნაირი ანომალიური არსება ვერასოდეს ვერ შესძლებს!**

**როლანდ ჯალაღანია,**
**გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი**

# სენაკის მოსახლეობა სოფელ კოტიანეთთან კირქვის მოპოვებას აპროტესტებს

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

სოფელ ეკის მხრიდან, ქედის მიმართულებით, საოცარი ხედი იშლება. თითქოს აქ ბუნებას, ადამიანის ხელი არ შეხებია. თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებს – ალბათ ასეთია სამოთხე დედამიწაზე. აქ შედარებით სიმშვიდეა, კირქვა-ცემენტის კვალი და მთაზე სინჯები არსად ჩანს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კოტიანეთთან კარიერის ამოქმედების გამო, აქაურებიც ნერვიულობენ. მეტიც, მათ დასაქმების „ცდუნებაც" არ აქვთ და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ამ დალოცვილ ბუნებას და უძველეს ძეგლებს რა ბედი ეწევათ.

„ჩოჩელის პროექტს" ეწინააღმდეგება ეკის მკვიდრი ქალბატონი ლალიც. მეტიც, ის სკანდალურ ინფორმაციას გვაწვდის – მისი თქმით, ხალხის სურვილი ჩოჩელის პროექტს შეწინააღმდეგებოდნენ, ბიზნესმენმა მოქრთამვით ჩაკლა: **„არ გვინდა, კარიერი ამოქმედდეს. ამ მთის ქვეშ, უამრავი მიწისქვეშა და თერმული წყალია. აფეთქების ან ბურღვის დროს, შეიძლება წყალი შეგუბდეს, ამოხეთქოს და დავიტბოროთ. ერთი პატარა მდინარე გვეგონა ვერე, მაგრამ გარემოზე უხეში ჩარევის შედეგად, ხომ ვნახეთ, რა ტრაგედია დაატრიალა. აქ კი, წყლების დიდი მარაგია და შეიძლება იგივე მოხდეს. სენაკის მოსახლეობას წარმოდგენა არ აქვს, რა გველოდება. შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ამ ქედზე მე-6 საუკუნის, უნიკალური, იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსია, რომელიც სენაკის ნებისმიერი შემოსასვლელიდან ჩანს. არ შეიძლება ასეთი ტაძრის დანგრევა, არადა, შესაძლოა, დაინგრეს. ამის 1%-იც თუ არსებობს, ხალხი წინ უნდა აღვუდგეთ. ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას! მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს. ეტყობა გამგეობა და საკრებულო, ჩოჩელთან და ინვესტორებთანაა შეკრული. ხალხიც ჩუმადაა – ზოგს ინფორმაცია არ აქვს, ზოგს ეშინია, ზოგს კი... ძალიან მიჭირს ამის დაჯერება, მაგრამ როგორც შევიტყვე, ჩოჩელმა 400-400 ლარი ჩამოურიგა – ხმა არ ამოიღოთ და არ გააპროტესტოთ კარიერის ამოქმედება და ქარხნის მშენებლობაო. მესმის, ხალხი მშიერია, მაგრამ... მეგრელების სირცხვილი იქნება, სამეგრელოს ეს ულამაზესი და საამაყო ადგილი, 400 ლარზე თუ გავყიდეთ!".**

400 ლარი და დასაქმების პერსპექტივა – დიდი ცდუნებაა მათთვის, ვისაც კუჭის პრობლემა უდგას. მათთან მაღალ მატერიებზე, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაზე საუბარიც რთულია, მითუმეტეს, როცა დადასტურებით მათ არავინ ეუბნება, რა საფრთხის წინაშე დადგებიან. სამაგიეროდ, ეუბნებიან, რომ ივნისის თვის ბოლოს, კოტიანეთიდან დაახლოებით 11 კილომეტრში, სოფელ ნოსირში, ცემენტის ქარხანა გაიხსნება. კოტიანეთში ხალხი ნერვიულობს, მაგრამ მაინც ცხოვრობს უახლოეს მომავალში დასაქმების იმედით. „ვერსიის" რეპორტაჟის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პასაჟი კი ის იქნება, რომ მათ, იმედი უნდა გავუცრუოთ. ამის საფუძველს ის ვითარება გვაძლევს, რაც სოფელ ნოსირში დაგვხვდა. 57 ჰა მიწის ფართობზე, სადაც თვის ბოლოს ქარხანა უნდა გაიხსნას, არაფერია, ძველისძველი ქარხნის ნანგრევების გარდა. ნანგრევებიცაა და ნანგრევებიც – რამდენიმე ბოძი, არც სახურავი, მხოლოდ უნდა ივარაუდო, რომ აქ ოდესღაც შენობა იდგა. ჩინელების მიერ ნაყიდ უზარმაზარ ტერიტორიას ღობეც კი არ აქვს შემოვლებული. აქ არც არანაირი სამუშაოები მიდის. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი წინასაარჩევნო ბლეფს ჰგავს – ხმების მისაღებად ხალხში უაზრო იმედს სახავენ. ალბათ, ტერიტორიის წინ, ქარხნის მაკეტგამოსახულ ბანერს დადგამენ, მთავრობის წევრებსაც მოიწვევენ და იტყვიან, მომავალში აქ უნდა იყოს ცემენტის ქარხანაო. ასე გახსნილი და აგუგუნებული ქარხნები, წინა ხელისუფლების დროს, უხვად ვნახეთ და სცენარი ალბათ დღესაც იდენტურია. ჩოჩელჩინელების ტერიტორიის შესასვლელთან, რესტორანია. როგორც ჩანს, სტუმრებს არ უჩივის – იქ სასადილოდ შესული ადგილობრივი გვხვდება. ვეკითხებით, რაიმე ხომ არ გვეშლება, სადაა ქარხანა, ერთ თვეში გახსნას რომ უპირებენ? ჩვენი კითხვა სასაცილოდ არ ჰყოფნით. ერთი ენაწყლიანი მეგრელი წინ მიგვიძღვის და გზის იქითაც გვაჩვენებს ტერიტორიებს, რომელიც ჩინელებს ასევე უყიდიათ. ამხელა მიწები კი, მისი თქმით, იმისთვის ჭირდებათ, რომ აქ ჩინური ქალაქი „დაააარსონ: „57 ჰა მიწა აქვს ნაყიდი ჩოჩელს. ამბობენ, აჩუქესო. ჩოჩელმა კი, ჩინელები შემოიყვანა. რამდენიმე ჩინელი უკვე ჩამოსულია, ქირით ცხოვრობენ. მოდიან ხოლმე აქ. დახედავენ. გაბურღეს, აინტერესებდათ, ნიადაგი რამდენად მყარია. ქარხნისთვის არა, აქ მაღალი შენობები უნდა წამოჭიმონ. საავადმყოფო, სკოლა, სახლები. ჩინური დასახლება იქნებაო ჩვეულებრივი, ხალხი ამბობს. იმ ქარხანას იმისთვის აშენებენ, თავისი ცემენტით ააშენონ ჩინური ქალაქი. ამ ადგილს ლიანდაგიც უდგება. იქით კი, გადელიას წარმოებაა. ნახევარი სენაკი აქვს ნაყიდი მაგ გადელიას. მარტვილელია, მაგრამ სენაკი მოუნდა – სენაკი დიდია და დიდი ფული კეთდება აქ. სამეგრელოში გადელიამ შეინარჩუნა მარტო ქარხანა არეულობის დროს. მდინარეც კი აქვს ლამის ნაყიდი. აი, ამ ჩოჩელს კი, რა უნდა, არ ვიცი. ამ რესტორნის მეპატრონესაც ელაპარაკებიან, 1,5 მილიონ ლარად მოგვყიდე რესტორანიო. ხალხს არ უნდა ჩინელები. მუშაობა კი უნდათ, მაგრამ რა ვიცი, დაასაქმებენ?"

ისე დაასაქმებენ, როგორც ზვარეში, – დასკვნებს უკვე ნოქალაქევისკენ მიმავალ გზაზე ვაკეთებ. ციხე-გოჯი სენაკში „ვერსიის" ბოლო გაჩერებაა. მუზეუმში ბილეთებს ვყიდულობთ – ისტორიული ციხე-ქალაქის ეზოში სხვაგვარად ვერ შეხვალ. რამდენიმე ტურისტი ფოტოებს იღებს. აღფრთოვანება ეტყობათ. სხვა ემოცია აქ არც გაგიჩნდება – აქ ადრე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. რომაელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები მას არქეოპოლისად მოიხსენიებდნენ. ადრინდელ ქართულ ქრონიკებში კი, მას ციხეგოჯს (ქუჯის ციხეს) უწოდებენ.

სავარაუდოდ, ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარეობდა მითიური ქალაქი აია, საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოიპარეს. ულამაზესი ეზო, ქალაქის ნანგრევებით, 2 კოშკით, გალავნითა და ადრინდელი ფეოდალური ხანის მცირე ზომის დარბაზული ეკლესიით, ტურისტული თვალსაზრისით, ქვეყნის და სამეგრელოს სიამაყეა. სიამაყე, რომელსაც, მხოლოდ შესასვლელში დაცვის პოლიციის დაყენებით და ბილეთების გაყიდვით ვერ დაიცავ. ეს სახელმწიფო დონეზე უნდა წყდებოდეს და ნოქალაქევის ეზოში შემოსულებს, ეკლესიის გვერდით, მაცხოვრებლის სახლი, საპირფარეშო და ეზოსთან მიბმული პირუტყვი არ უნდა ხვდებოდეს. ეს კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც აქ დაგვხვდა. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, ამ ეზოში მაცხოვრებელმა, გასახლებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა მოითხოვა, სახელმწიფოს კი, როგორც ჩანს – ნოქალაქევის სიწმინდის დაცვა, ამ თანხად არ უღირს. ზოგადად, ალბათ ციხე-გოჯის დაცვაც არ გვიღირს, აბა სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის, რომ ციხე-ქალაქიდან ყურის ძირში, დაახლოებით ორიოდ კილომეტრზე, კირქვის მოპოვება და ცემენტის წარმოება იწყება?

ციხე-გოჯი თავის დროზე, 2 წლის წინ დახურული კარიერის მთაზე მდებარე ციხეს, შემდეგ კი, შხეფის ციხეს უკავშირდებოდა. ეს ერთ კომპლექსად აღიქმება. მთა კი, რომელზეც კირქვის წარმოებას იწყებენ, ამ სამ ძეგლს შორისაა მოქცეული. ამ ფონზე, ლოგიკაში არ ჯდება – თუკი, ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ერთი კარიერი დაახურინა, ერთ კილომეტრში მეორე კარიერის გახსნაზე რატომ გასცეს ნებართვა? რატომ გადასცეს მიწის ფართობი და ძველი ბეტონის ქარხნის შენობა ცეზარ ჩოჩელს? რა ინტერესი აქვს ამ ბიზნესმენს? რა ინტერესი აქვთ ჩინელებს? მართლა აპირებენ თუ არა ნოსირში „ჩინური ქალაქის" გაშენებას? რა ზემოქმედებას მოახდენს კარიერის გახსნა გარემოზე? დაბინძურდება თუ არა წყაროები და მიწისქვეშა წყლები, რომლებსაც ადგილობრივები სასმელად იყენებენ? რა გავლენას მოახდენს კირქვა-ცემენტის მტვერი ადგილობრივების ჯანმრთელობაზე? მთაზე კირქვის მოპოვებითი სამუშაოების წარმოება დააზარალებს თუ არა მიმდებარე სოფლებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, საადამიოსთან აღმოჩენილ უნიკალურ მღვიმეებს?..

ეს კითხვები ადგილობრივებსაც აწუხებთ. ამიტომაა, რომ ისინი სამთავრობო კომისიის შექმნას და სენაკში ვითარების ხელახლა შესწავლას ითხოვენ. მათი თქმით, აუცილებელია ყველანაირი სამუშაოები შეწყდეს მანამ, სანამ არ გაქარწყლდება ყველა ეჭვი, გარემოზე, ძეგლებზე და მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად ზემოქმედების თაობაზე.

სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, **„ვერსია"** არაერთ კომპეტენტურ პირს ესაუბრა. გამოვითხოვეთ სხვადასხვა უწყებიდან შესაბამისი დოკუმენტები, ჩავწერეთ ინტერვიუები კომპეტენტურ პირებთან... და სანამ ცეზარ ჩოჩელი, ცემენტის ქარხანას ტროას ცხენივით გამოიყენებს და სენაკში ჩინელებს შემოაპარებს, გაზეთის მომდევნო ნომრებში, **„ილორი"** ყველა ამ კითხვაზე პასუხს შემოგთავაზებთ, იმის იმედით, რომ ხელისუფლება, ქვეყნის ულამაზეს, უნიკალურ და ტურისტული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ადგილს, კონკრეტული ბიზნესმენების ინტერესებს არ შეწირავს.

**„ილორის"** შემდეგ ნომერში – რა ხდება ცემენტის ბაზარზე და სჭირდება თუ არა ცემენტის კიდევ ერთი ქარხანა საქართველოს.

**ნინო ლურსმანაშვილი**

# თაოდათაოს პრინციპი თუ ქვეყანა?

წინასაარჩევნო მარათონი ძალას იკრებს. პოლიტიკურ არენაზე ახალ-ახალი პარტიები გამოდიან. ყველა მათგანი ხელისუფლების დასაპყრობად ემზადება. ზოგი მეორე ადგილსაც ჯერდება – უფრო **„მოკრძალებული“**, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებული. დღესდღეობით 30-ზე მეტი პარტია იბრძვის პარლამენტში მოსახვედრად, რაც სულაც არ ნიშნავს დემოკრატიის ზეობას. ეს უფრო ანარქიის გამომხატველია.

იმ ევროპაში, საითკენაც სიტყვით და არა საქმით მივდივართ, ახალი პარტიის გამოჩენა დიდ სენსაციას იწვევს. ორი, მაქსიმუმ სამი, ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიების ფონზე, რომლებიც რიგრიგობით ეცილებიან ერთმანეთს ქვეყნის მართვის ხელში ჩასაგდებად, ახალი პარტიის დაფუძნება და პოპულარობის მოპოვება არცთუ იოლი საქმეა.

საქართველო, განსხვავებული **„დემოკრატიაა“** – პოლიტიკური **„პლურალიზმით“** გაჯერებული. უნებლიედ იბადება კითხვა – როგორ ახერხებს ახალი პარტია შესაბამისი ხელმოწერების შეგროვებას დაფუძნებისა და რეგისტრაციისთვის?

უამრავი პარტიის ფონზე ხელმოწერების შეგროვება უდავოდ დიდი საქმეა – დემოგრაფიულად გათითოკაცებულ ქვეყანაში. არავინ იცის, ხელმომწერთა ნამდვილობის შემოწმებას აქვს თუ არა დათმობილი ჯეროვანი ყურადღება. იქნებ ერთიდაიგივენი უწერენ ხელს რამდენიმე პარტიას – ხათრიდან და ნათესაურ-მეგობრული კავშირებიდან გამომდინარე?

რეგისტრაციისთანავე ყველა პარტია წარუდგება ტელემაყურებელს და ისეთს ამბობს – **„გული გაგინათდება“**. ყველას ქვეყნის აყვავება **„სურს“**; ყველა ხელისუფლებაში მყოფ პარტიას და ოპოზიციას წიხლავს, განსაკუთრებული იერიში **„ნაციონალებსა“** და **„ოცნებაზე“** მიაქვთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პარტიები ერთმანეთთან საკინკლაოდ არიან მომართული და არა ქვეყანაში არსებული უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ვითარების გამოსასწორებლად.

პარტიების ლიდერთა განცხადებებში, აღნიშნულ თემებს აქვს დათმობილი რაღაც ადგილი, მაგრამ არა მთავარი. არადა იმ ევროპაში, საითკენაც ვითომ მივდივართ, ნებისმიერი პარტიის მთავარი დევიზი ხალხის კეთილდღეობაა. ამ არცთუ უმნიშვნელო საქმეს არც საზოგადოება ითხოვს, თუ არ ჩავთვლით სამზარეულოში წუწუნს, პროდუქტებზე ფასების კატასტროფულ მატებასთან დაკავშირებით და ა.შ.

საქართველოს არ ახსოვს არც ერთი სახალხო მიტინგი, დემონსტრაცია ან საჯარო შეკრება ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. არადა იმ ევროპაში, საითაც მივდივართ, კვირა ისე არ ჩაივლის, აღნიშნულ საკითხებზე მრავალათასიანი მიტინგები, გაფიცვები, დემონსტრაციები არ გაიმართოს. მაგალითად საფრანგეთიც კმარა, სადაც ორ თვეზე მეტია პერმანენტული სახალხო გამოსვლებია მოთხოვნით – შეიცვალოს შრომის კანონი. დემონსტრანტებს არც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი აბრკოლებს და არც პოლიციასთან სისტემატური შეტაკება. დემონსტრანტი ფრანგები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ აიძულებენ ხელისუფლებას შეცვალოს კანონი.

საფრანგეთი გამონაკლისი არ არის. ასეა ყველგან, მაგრამ არა **„დემოკრატიულ“** საქართველოში. მაშ, რა არის ჩვენთან? ერთმანეთის ლანძღვა და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. არადა რამდენად გულმაგარი უნდა იყოს პარტია, რომ დაქცეული ქვეყნის პრობლემების გამოსწორება იკისროს?!

სინდის-ნამუსიანი (რაც დიდი დეფიციტია) ამას არ გარისკავს, თუ რას **„გარისკავს“**, განვლილმა წლებმა დაგვანახა – ხელისუფლებაში ყოფნით ტკბობა და საკუთარი თავისთვის საარაკო პირობების შექმნა. ასეთ დროს ვიღას ახსოვს ქვეყანა, ხალხი, გაძაღლებული ცხოვრება. ხალხს 4 წელიწადში ერთხელ იხსენებენ – საპარლამენტო არჩევნების წინ.

საქართველო სხვა რამითაც არის გამორჩეული იმ ევროპისგან, საითკენაც მივდივართ – სახელმწიფოებრივი სისტემის არ არსებობით, უფრო სწორად ფიქტიური არსებობით. ქვეყანაში თითქოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტია. პრეზიდენტიც გვყავს, პრემიერიც, პარლამენტის თავმჯდომარეც და მინისტრებიც, მაგრამ ყველა ისინი მარიონეტები არიან და არიან იმიტომ, რომ უბრალოდ შეავსონ სახელმწიფო თანამდებობები.

საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სისტემას აქვს ასეთი ინსტიტუტები, ცხადია ქვეყნის სამართავად, ხალხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, წინასაარჩევნო მარათონის დროს გაცემული დაპირებების შესასრულებლად. როდესაც მსგავსს, გასული 25 წლის, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველოში ადგილი არ აქვს, უდავოდ გაგიჩნდება შეგრძნება, რომ ხელისუფლება მხოლოდ თავისი კეთილდღეობისთვის მოდის ქვეყნის სათავეში და არა ხალხის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს **„ოცნებამ“** დაპირებების კორიანტელი დააყენა და **„ნაცებზე“** განაწყენებულ ხალხს იმედის ნაპერწკალი ლამის ხანძრად გადაუქცია. გულუბრყვილო მოსახლეობა იოლად წამოეგო კეთილდღეობის ახალ ფანდს და მიიჩნია, რომ უმოკლეს პერიოდში წელგამართულ ცხოვრებას ეზიარებოდა. საზოგადოება ენდო **„ოცნებას“**, მაგრამ სხვა გამოსავალი რა ჰქონდა?!

პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად დაბეჩავებულმა ქვეყანამ იმედის მზერა მიაპყრო მხსნელ ბიძინას და მანაც არ დააყოვნა ახალ-ახალი დაპირებების გამოცხობაში. ხალხის სამწუხაროდ, არც ერთი დაპირება არ შესრულდა, თუმცა ამან ვერც ივანიშვილი გატეხა და ვერც მისი პარტია. შეხმატკბილებულად ორივემ ერთად შეტევა მიიტანეს ხალხზე და სიბრმავეში დაადანაშაულეს – **„ოცნებამ“** ყველა დაპირება შეასრულა, რასაც დანახვა უნდა, თქვენ კი ვერ ხედავთო.

განვლილი 4 **„ოცნებური“** წლის განმავლობაში რაც თვალშისაცემი არის – ტყუილებია, გაუკეთებლის, გაკეთებულად მონათვლა. ხალხი უყურებს და უსმენს ივანიშვილის გამოსვლებს, ახალ დაპირებებს, ტყუილებს, თუნდაც ისეთს, როგორიცაა საქართველოში ივანიშვილის ბიზნესი. ივანიშვილი ისე წარუდგენს თავს ხალხს, თითქოს მას არაფერი ბიზნეს-ინტერესი არ აქვს საქართველოში და რასაც აკეთებს ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვაა, ქველმოქმედებაა.

ბანკი **„ქართუ“** ქველმოქმედებად ვერ ჩაითვლება, ვერც **„პანორამა თბილისი“** და სხვა მრავალი ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც მართალია ივანიშვილის სახელს არ ატარებენ, მაგრამ მჭიდროდ არიან მასთან დაკავშირებული. ივანიშვილი ურცხვად აცხადებს, რომ ხელისუფლებაზე გავლენა არ აქვს, არადა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. იგივე ვითარებაა ბიზნესშიც.

ზემომოყვანილი მაგალითები ნეგატიურად აისახება ქვეყანაზე, მის განვითარებაზე, მაგრამ გაცილებით ცუდად მოქმედებს მასზე სხვა რამ – ქვეყნის **„იატაკქვეშეთიდან“** მართვა და ის, რომ საზოგადოებას, ინტელიგენციას არავითარი სურვილი არ აქვს შეებრძოლოს ამას. პიროვნება, რომელსაც არავითარი პოლიტიკური თანამდებობა და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობა არ გააჩნია – მართავს ქვეყანას. იქნებ ვინმემ შემახსენოს ქვეყანა, სადაც ესოდენ გაურკვეველ მმართველობას აქვს ადგილი?! ასეთს გაუბედურებულ უკრაინაშიც ვერ ნახავთ, მითუმეტეს იმ სანატრელ ევროპაში, საითკენაც მივდივართ. ამის შემდეგ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ არ გვიღებენ ნატოში?

საქართველოს ჰყავს მთავრობა, ერთი კაცის სახით, რომელიც ქურდულ-კლანური მეთოდებით მართავს ქვეყანას. თანამედროვე ცხოვრებისთვის ეს არნახულ-არგაგონილი მოდელი დედის რძესავით შეირგო ქართულმა საზოგადოებამ, ე.წ. ინტელიგენციამ და გაყუჩებული, მორჩილად ადევნებს თვალს ბიძინას ოინებს.

უდავოდ დასანანი რამ არის, ვინაიდან ქვეყნის განვითარებას უდიდესი პრობლემები შეექმნა – გაურკვეველი მმართველობის სახით. საზოგადოება მიეჩვია მართვის მანკიერ სტილს. მისთვის უცნობია სხვა სახის მართველობა. 25 „დამოუკიდებელი“ წლის განმავლობაში ქვეყანას არ ჰყოლია მასზე შეყვარებული ხელისუფლება. ყველა მათგანი მეწველ ძროხასავით უყურებდა მას, მაგრამ რაღაც ჰქონდა სახელმწიფო სტრუქტურის სახით – 2012 წლის ოქტომბრამდე. მის შემდეგ ერთპიროვნულმა **„იატაკქვეშურმა“** მმართველობამ, რის ვაივაგლახით შექმნილ სახელმწიფო მართვის ინსტიტუტსაც შეუტია და ფაქტიურად იმპოტენტად აქცია.

ივანიშვილი ქვეყნის სახელმწიფოებრობას დაემუქრა და 4 წლის განმავლობაში ყველაფერი იღონა მის დასაკნინებლად. ასეთ დროს ქვეყნის განსწავლული ნაწილი, ინტელიგენციად წოდებული ხმას უნდა იღებდეს, მაგრამ ივანიშვილის კმაყოფაზე მყოფი, თევზის როლშია, ხშირ შემთხვევაში კი ხოტბას ასხამს მამამარჩენლის **„აღმშენებლურ“** მარჯვენას. სულ ახლახანს ცნობილმა არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ ქებათაქება არ მოაკლო **„პანორამა თბილისს“**, რომელიც უდავოდ ისე, როგორც ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრი, დომინატად დააწვება ძველ ქალაქს.

თვალი გადაავლეთ პრესას, ივანიშვილის ხოტბის ამსახველი წერილები ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას. ავტორები, ივანიშვილის მიერ დაპურებული ხალხია ან ისინი, ვინც მისგან **„სტიპენდიების“** მიღების იმედს არ კარგავს.

მავანი მეტყვის – რა ქნან, არსებობა ხომ უნდათო? და მართლაც, რა უნდა ქნას მშიერ-მწყურვალე ხალხმა? მას აღარაფერი რჩება გარდა **„თაოდათაოს“** პრინციპით ცხოვრებისა. ასე ვიყავით გუშინ, გუშინწინ. ვატყობ, ასე ვიქნებით ხვალაც – პარლამენტის არჩევნების შემდეგ. ვიქნებით, მაგრამ ქვეყანა აღარ გვექნება. **„თაოდათაოს“** რეცეპტით მცხოვრები, ქვეყანას ვერ ააშენებს.

**ჰამლეტ ჩიკაშვილი,**
პოლიტოლოგი

# მივიწყებული აფხაზური რიტუალი

ძველად, აფხაზეთში თებერვლის თვეში, მსხვილფეხა საქონლის გამრავლებისა და რძის მატებისთვის რიტუალს ატარებდნენ. მას **„ჟვაბრანი“** ერქვა. აფხაზი ეთნოლოგის, ინგა შამბას გადმოცემით, **„ჟვაბრანის“** რიტუალისთვის ოჯახის უხუცესი დიასახლისი საგანგებოდ აცხობდა პურს, საფუარის გარეშე.

**„ფაცხაში გაჩაღდებოდა ცეცხლი, კერა რომ გახურდებოდა, ნახშირისგან გაწმენდნენ, მოხარშავდნენ შქერის ფოთლებს, მასზე გააბრტყელებდნენ პურის ცომს, ზევიდან ისევ დააფენდნენ ფოთლებს და დაადებდნენ ნაკვერჩხალს. რიტუალისთვის საჭირო პური რომ გამოცხვებოდა, ოჯახის უხუცესი ქალი წარმოთქვამდა ლოცვას, მსხვილფეხა საქონლის ღვთაებას „ჟვაბრანს“ შესთხოვდა ხვავს, ბარაქას, საქონლის დაცვასა და გამრავლებას. შემდეგ გაიშლებოდა სადღესასწაულო სუფრა, საღამოს კი მიცვალებულთა მოსახსენიებელი სუფრა, სარიტუალო პურის გარეშე“**,– აღწერს აფხაზი ეთნოლოგი.

**„ჟვაბრანი“**, ისევე, როგორც ბევრი სხვა აფხაზური რიტუალი წარმართული და ქრისტიანული შეხედულებების ნაერთია, – უთხრა **„ლაივპრესს“** ქართველმა ეთნოლოგმა ნუგზარ ანთელავამ. მისივე თქმით, **„ჟვაბრანის“** პატივსაცემად დღესასწაული ყველიერის შაბათს სრულდებოდა.

**„საამდღისოდ აცხობდნენ ფეტვის პურს, შუა ნაწილში ათავსებდნენ ე.წ. წმინდა ყველს, ოჯახის უფროსი ლოცულობდა და თან უხმობდა საქონელს ძახილით „უოოცვ, უოოცვ“**,– აღწერს ნუგზარ ანთელავა წიგნში **„აფხაზური მითები და რიტუალები“**, რომელიც 2005 წელს გამოიცა აფხაზურ ენაზე. გამოცემის ნაწილი აფხაზეთშიც გავრცელდა.

ქართველი ეთნოლოგი ამბობს, რომ აფხაზური რიტუალები ჩრდილოკავკასიური გავლენის მიუხედავად, ქართული დღესასწაულების იდენტურია.

**„საქორწილო რიტუალი, ასევე მიცვალებულის გლოვასთან და მის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, სამშობიარო ციკლის რიტუალები, წვიმისა და მზის გამოწვევასთან დაკავშირებული მაგიური ხერხები, და სხვადასხვა წარმოდგენები ერთნაირი გვაქვს“**, – გვითხრა ნუგზარ ანთელავამ.

აფხაზი თეოლოგი ინგა შამბა ამბობს, რომ დღევანდელ აფხაზეთში, **„ჟვაბრანს“** გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, ცოტა ვინმე თუ ასრულებს. მისივე თქმით, აფხაზეთში სხვა რიტუალებიც მივიწყებულია.

**ნანა ხუბუტია**

## პოეზიის კუთხე

### ჩქიმი ჯიმაკოც მურთაზი პაპას

ტაბაკიში მაფა,
ყანწეფიში რთაფა,
ღართი დო კაბა
მარგალეფიში ბაბა,
მურთაზ პაპა,
ვაგოსაჭირ ცქვაფა.
ცქვაფილი რექ საქვარით,
ომპათ დო ყამბარით,
ნაჭათ დო ჯარგვალით.
ქოთომ დო მარქვალით,
ელარჯი ოზინდაით,
ხორცი ოზვითაიათ,
ღვნი ოშინთაიათ,
მართახ ოღვინდაიათ,
ვანათ დო ხაიათ,
მარტვილი დო თაიათ,
თანაფა დობაიათ,
აბა ულა, ჰარირათ
წორო მოკო ქიბიბრათ.

### დიაჩქიმა ზინა მილორახეს

მაფშალიაში მინდორემც,
ოდიარეში ნიხო რჩ,.
თინეფიში ღურჭულუაქ,
შური ჩქიმი მოხიჭ,
დიხას ვიშო ქაშუანთხი,
გურქა მართახი მომინჭუ
სწორე წიე სქანი უდე,
მიქ მიდაგოღ დოგიჭუ?!
ვარა სორე სქანი დიდა,
მიქუთ ბჟა ძუძუთ რჩ
ეგბა, დიო ცოცხალი რდას
ეგბა, ღორონთქ დოგიჩუ
ქაშუოკურცხი, შქასერი რე,
ჩილამურემქ მოხირჩ,
მაფშალიაში მინდორემც
ოდიარეში ნოხი რჩ.

### ვორექ ბათუმს

ფშუნქ თუთუნს,
ვავორთუქ მუთუნს.
ქომორთ ჩქიმი წავლაქ.
ქეგმანთს დავლაქ.
მემცუ ქონება ავლაქ.
სამუშა ვამიღ,
კუნტა დღა მიღ
ქონება ნტერქ მიდამიღ.
მის ვიკოქ, ანწ მა,
ვაფორექ სქანწკმა,
ვოჯანუქ შხვაწკმა,
ფარა ვარე ჯიბეს,
მუკუობუქ ქირქეს
ბორის მირქენს.
იმენდთ მიღუ-მიშა?
უორინჯე ჭყიშშა,
გთოდინაფილშა!

### სი ჩქიმი ნინა, მარგალური

სი ჩქიმი ნინა, მარგალური,
კრტეს გერდგ ხაჯალური,
ტაბუ გერძ, დო ვაგიღ ლური,
მიკვე აიშა მუთ მილიშური.
სი ჩქიმი სქუა მარგალიში
სი რექ ჩქიმი დიდ ოჭიში
სი მოთა რექ აიეტიში
ჩქიმი ნინაში სი რექ ჭყიში.
ჩქიმი ქივანა, სამარგალო
ოსორშე დო საკაკალო,
ოროფა რექ ართო ფალო,
ხუს ალაიშქუქ მასარცალო.
ზღვა ილენც დო ზღვა პიც
ლოტკუნს.
ღალც მეჩხომე ფაცერს დოდგუნც,
კამბეში ჭყონჭყოს ენილონტყუ,
სქანი ქიანას ხეს მი მორთხუნს.
ოჭუმარექუ ქომადირთ
იმენდიქ კონი დირტ
თე ქიანა სონდარო ირთ
კოც მუთუნი ვაგუჭირდუ.

**ჯემალ პერტაია (ტომბა)**

# ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვაო, ანუ... ვინ არის ალექსი გაბისონია

გარძელება. დასაწყისი იხ. №370



ალექსი გაბისონია

არა, რა, საოცარია პირდაპირ! თქვენი გამკვირვებია, **„ქართული ოცნების“** მესვეურებო, აქ – მარტვილში და იქაც – თბილისში, ამ ნიათგამოცლილმა ალექსი გაბისონიამ, სახეზე საფლავის მოაჯირისფერი რომ გადაჰკრავს, ამ უმეცარმა და თვითნაკეთმა **„პოლიტიკოსმა“** ისეთი რა ოჰყალიჯადო გაგიკეთათ, ისეთი რა თაფლი და შარბათი გასვათ, გვერდით ასე ურცხვად და უტიფრად, ასე ყინჩად და თამამად რომ ამოიყენეთ?! ნუთუ მარტვილის მუნიციპალიტეტში ვერავინ მოიძებნა **„ქართული ოცნების“** ჭეშმარიტი მესვეურთაგანი? რაში დაგჭირდათ მოუზელავი თიხით ნაკოწიწები, ამ, ვითომ პოლიტიკოსის, საკრებულოს თავმჯდომარის სკამზე წამოსკუპება? შეგერჩიათ თქვენი პოლიტიკური იდეების მართლაც ერთგული მიმდევრის, ახალგაზრდა კაცის – ლევან სურმავას, ან ხვიჩა ახვლედიანის, ან სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე ხანგრძლივი დროით მომუშავე მართლაც ღირსეული ადამიანის – დევი ჭყონიას კანდიდატურა! ან მათე ქაჯაიამ რა დააშავა, ან კიდევ – ზურაბ ბიგვავამ? როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანები ვერ შეძლებდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობას?

ჩვენ რა დავაშავეთ, ჩვენ – უბრალო ადამიანებმა, თქვენმა ამომრჩევლებმა, პატივცემულო **„ოცნების“** მესვეურებო? ნუთუ ვერ ხვდებით იმას, რომ ალექსი გაბისონია ტკიპასავით მიწებებია თქვენს პარტიას და გულმოდგინედ ცდილობს, სისხლი გამოგწოვოთ!... ნუთუ ვერ ხვდებით, რომ გაბისონიას მსგავს სტატუსგაურკვეველ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ სივრცეში ენერგიული ტრიალი, მათი **„ოცნებისტყაოსნობა“** მმართველ პოლიტიკურ ძალას მხარდამჭერებს უფრთხობს!..

დიახ, ჩემო კარგებო, გაბისონიას **„ქართული ოცნება“** კი არ უყვარს, დამიზეზებულია მისით... ჰოდა, გეკითხებით, ბოლოსდაბოლოს როდემდე უნდა ავიტანოთ ამ დამიზეზებული კაცის პროვინციალიზმი და ქაჯობა?!

ზემოთ №53 განკარგულება დავიმოწმე. ახლა მისი ხელმოწერით გამყარებული კიდევ ერთი განკარგულება მინდა გავაცნო მკითხველს, ხოლო შემდეგ, ისემც უქნია, ერთად დარგოლილი ეს ქაღალდები ქვედა სართულის კუნთებსშორის შეუკვეხებია გაბისონიას. 2014 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უკანონო ქმედება რომ შეამჩნია, 2015 წლის 9 თებერვალს **„ქართული ოცნების“** გაქაჩლებულ სხეულზე უშნოდ ამოჩრილმა ამ პოლიტიკურმა კუნძმა თუ კოჟრმა №13 განკარგულება გამოაცხო და 53-ე განკარგულებიდან მე-2 პუნქტი ამოიღო. ეს პუნქტი კი, მარტვილის მუნიციპალიტეტის წინამორბედი გამგებლის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ამოქმედებიდან ა(ა)იპ-ის წესდებების დამტკიცების შესახებ არსებული ექვსი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების განსახორციელებლად გამგებლისათვის თანხმობის მიცემას, საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით გამოცემულ არც ერთ განკარგულებაში დასაბუთებული არაა, კონკრეტულად რა ცვლილება იქნა შეტანილი, მაგალითად, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წესდებაში, რა იყო ცვლილებების განხორციელების მიზეზი და მოტივი, რამ განაპირობა ცვლილებების განხორციელების საჭიროება, ანუ რეორგანიზაცია.

ისე ნამეტნავად საინტერესო კია, ა(ა)იპების დამფუძნებლის უფლებამოსილების განხორციელებისას და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კონკრეტულად რა ცვლილება იქნა შეტანილი წესდებებში, რომელი და რანაირი ახალი რედაქცია დამტკიცდა საკრებულოსა და გამგეობის მიერ?! რასაკვირველია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ალ. გაბისონია თავს აარიდებს, რადგან იურისპუდენციასთან, ცოტა არ იყოს, **„უკაცრავადაა“**, მაგრამ პროკურატურა ხომ იმისთვის არსებობს, დავით ბარამიას ეს საჭურველმტვირთველი და ალექსანდრე გრიგალავას ხელის ბიჭი, ეს მსუბუქი ყოფაქცევის პოლიტიკოსი თავისთან დაიბაროს და კანონის სრული დაცვით **„ახადოს ნამუსი“!..**

მანამდე კი...

**„შენ გეახლო სიკვდილამდის, იმის მეტი არა მინდა“**-ო, – ამ სიტყვებით თვალებში შესციცინებს, შეჰღაღადებს, საკმეველს უკმევს **„ქართულ ოცნებას“** და ასე ცდილობს საკუთარი გაქუცული ტყავის გადარჩენას ეს ნაცარქათამა და საყვარლად იდიოტი არსება.

მანამდე კი ეს უზარმაზარი ბულდოზერი უსინდისოდ მისდგომია სახელმწიფო ბიუჯეტს, სამი წელიწადია უსინდისოდ ხრავს და აღნიოშ-ანიავებს ჩვენს ბიუჯეტს, პრემიებისა თუ დანამატების თქვლეფით (ამაზე სხვა დროს უფრო ვრცლად და დაწვრილებით გვექნება საუბარი!)...

აი, **„ქართული ოცნების“** დობილოში თავშეფარებული ეს ჩინჩიბურის ბიჭი უკვე სამი წელიწადია, თავს გვაბეზრებს თავისი უგემოვნო პროვინციალიზმითა და ჩრდილოვანი აზროვნებით...

აი, ამ ადრე და მალე დასავიწყებელმა და სულ მალე მარტვილის მუნიციპალიტეტის **„წითელ წიგნში“** შესატანმა უმეცარმა, ადამიანმა, რომელმაც სვენებ-სვენებით გამოიარა გზა მაღაზიის დახლიდარობიდან საკრებულოს თავმჯდომარეობამდე, თავისი ხეპრეობითა და ავკაცობით მწვანე შუქი აუნთო სკოლის დირექტორების წინააღმდეგ დაგეშილ და დუქმორეულ გამგეობას.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, გაბისონიასა და მის თანამზრახველ დეპუტატთა დანაშაულებრივი დუმილის გამო სამსახურიდან სრულიად უკანონოდ გააძევეს ის ადამიანები, რომლებიც ქვეყანას მხოლოდ მოსწავლეებს კი არა, პიროვნებებს უზრდიდნენ.

ჰოდა, ამის შემდეგ, განა ნებისმიერი თავმოყვარე მარტვილელი არ ინატრებს – უტვინო შენთან და შავი ჟამი ჩემთანო!..

აი, ბედის ირონია, კაცს რომ შავი ჟამი მოგენატრება.

გადმოდგება ახლა საკრებულოს სხდომათა დარბაზში ეს ყველაფრის მკადრებელი, ასფურცელა რაინდების ორდენის კავალერი, იდაყვებით დაემხობა ტრიბუნაზე და თვალებაწყლიანებული მოეგოგოჩება საკრებულოს დეპუტატებს – თუ ღმერთი გწამთ, მომაშორეთ ეს კეკელია... ეს რა გამოვიდა, მეგობრებო, თურმე ცხრა თვე ტყუილად მატარა დედაჩემმა მუცლით?! მე რა შუაში ვარ, თანამდებობებიდან სკოლის დირექტორები თუკი გაათავისუფლესო!.. ხელის კანკალით წერილსაც მოიწერება: დირექტორების სამსახურიდან განთავისუფლება აღარ შედისო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციაში. აქედან გამომდინარე, დირექტორებმა სამსახურიდან განთავისუფლების საკითხებში გასარკვევად მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელს უნდა მიმართონო!... (მომართვა №101, 08 სექტემბერი, 2015 წ.).

ახლა ვნახოთ, ძვირფასო მკითხველო, როგორ ცდილობს გაბისონიას აღმა ხნულის დაღმა ფარცხვას მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა: გამგებელი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ. დირექტორთა განთავისუფლების ბრძანებებს სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად (გამგებლის მომართვა №1202, 11 09. 2015 წ.).

ვის დაუჯეროს ახლა განთავისუფლებულმა ანასტასია ბოლქვაძემ, თეოფილე ბჟალავამ და დარეჯან სხულუხიამ: დავით ბარამიასა და ალექსანდრე გრიგალავას ხელის ბიჭს, ბატონ ალექსის თუ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ გრიგალავას?! ან თუკი გამგეობა უკანონო ქმედებებს სჩადიოდა, სად იყო ეს ოჯახკეტიანი გაბისონია, რომელ ჩირგვში იჯდა გასუსულ-გატრუნული?! რატომ ხმა არ ამოიღო, რად არ გამოესარჩლა დაჩაგრულებს? ნუთუ ეს მისი, როგორც ქართული ოცნების უკანონო შვილის, პირდაპირი ვალდებულება არ იყო?!

არ ეცალა მასწავლებლების გამოსარჩლებისთვის, რადგან სწორედ იმ პერიოდში სულის ხვეულებში გატრუნულმა პოეტურმა ენერგიამ მოსვენება დაუკარგა და სიცხიან-ანთებიან **„კოლმეურნეობის“** თავმჯდომარეს, ლოგინში ჩათბუნებულ-ჩაღუღუნებულს, შუბლსა და ზონზროხა სხეულზე წურწურით რომ სდიოდა ოფლი, აი, მაშინ, სწორედ მაშინ, იოსებ გრიშაშვილის მიბაძვით უნიჭო და წყალწყალა ლექსები აწერინა.

წაიკითხავ ამ შემოქმედებით მარგალიტებს, ტანში გაგაჟრიალებს და... **„ქართულ ოცნებას“** კვლავ შესძახებ:

**– ფუი, ფუი, ეშმაკს. უტვინო შენთან და შავი ჟამი ჩემთანო!..**

ეეჰ, ძვირფასო მკითხველო, ბედის ირონიაა, აბა, სხვა რაა, კაცს რომ შავი ჟამი მოგენატრება...

**იგორ კეკელია,**
(გაგრძელება იქნება)

# ილია მეორე — საქართველოში 311 მეჩეთი მოქმედებს, თურქეთში კი არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი არ არის



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ოფიციალური ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდა. მაღალი სტუმარი ჩავიდა ანკარაში, სადაც იგი თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელმა, პროფესორმა მეჰმეტ გორდეზიმ მიიწვია. ოფიციალურ შეხვედრაზე განიხილეს ორ ქვეყანას შორის რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების და რელიგიურ-კულტურული ძეგლების რესტავრაცია-მშენებლობის საკითხები.

ამასთან, თურქეთის მხარემ აჭარაში აზიზიეს და ახალციხეში აჰმედის მეჩეთთან დაკავშირებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. თურქებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართული ტაძრების – იშხნისა და ოშკის რესტავრაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში მოცულობითი მეჩეთის აგებაც არის განსაზღვრული.

თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, რომ მუსლიმან მოსახლეობას საქართველოში რელიგიური აღმსარებლობის ყველა პირობა აქვს, რის მაგალითადაც საქართველოში მოქმედი 311 მოქმედი მეჩეთი დაასახელა. ილია მეორის თქმით, ეს ხდება მაშინ, როცა თურქეთის ტერიტორიაზე არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი არ არის, ბევრი მათგანი კი დანგრევის პირასაა მისული.. ამასთან, უწმინდესმა ოშკისა და იშხნის სარესტავრაციო სამუშაოებში ქართველი სპეციალისტების და მეცნიერების ჩართვა მოითხოვა.

გარდა ამისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნულ შეხვედრას უაღრესად მნიშვნელოვანი და ისტორიული უწოდა. როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა განაცხადა, შეიქმნება სპეციალური რელიგიათშორისი კომისია, რომელიც როგორც იშხნისა და ოშკის, ტაძრების რესტავრაციის, ასევე სხვა რელიგიურ საკითხებს განიხილავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთის დელეგაცია საქართველოში მოიწვია.

# SOS: აპოკალიფსი — მთელი ქალაქი ბორდელებით რომ გაივსო...



ქართველი მსახიობი მიშა გომიაშვილი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**– "არ ვიცი... გნებავთ ღია წერილი დაარქვით, გნებავთ დახურული ელვა დეპეშა... ეს ჩემი წუხილი და სტკივარია და, დარწმუნებული ვარ, არა მარტო ჩემი. ეს ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით ჩვენი ქალაქის ტკივილია... ეს სამყაროს დასასრული, ან დასაწყისია, ან კიდევ უარესი, დასასრულის ბოლო ეტაპია... მავანს და მავანს ჰგონია, რომ აპოკალიფსი ერთ მშვენიერ დღეს 13-სთ და 47-წთ-ზე დაიწყება. ეს ასე არ არის. ჩვენს ქვეყანაში აპოკალიფსი დიდი ხანია დაწყებულია... გადაყევით ერთმანეთის ჭამას, ქიშპობას, საარჩევნო კამპანიებს... რა გინდათ? ვისი მეთაურები გინდათ გახდეთ? არაქართველების? უცხო ტომის? გადამთიელებმა რასაც საუკუნეების მანძილზე ხმლით და ომით ვერ მიაღწიეს, ახლა სხვა გზა გამონახეს, სხვანაირედ "გვიშვებიან" ყოველგვარი ხმლის და ომის გარეშე... ქართველი სტუმართმოყვარე ერია, მაგრამ სამწუხაროდ ზოგმა ეს სტუმართმოყვარეობა ბოროტად გამოიყენა და იქამდე მივედით, რომ საკუთარ ქალაქში თვითონ ვიქეცით სტუმრებად...**

**ასე რამ დაგაბრმავათ? მარტო მე ვამჩნევ და ვხედავ რაც ჩვენს ქალაქში ხდება? 15-16-17 წლის ქართველი გოგონები, ქართული გენოფონდი, რომლებიც დედები უნდა გახდნენ და საქართველოს შვილები გაუჩინონ, თურქების, ირანელების და კიდევ ათასი ჩამოთესლილის ხასები გახდნენ. მარტო მე ვხედავ ამას მთელი ქალაქი ბორდელებით რომ გაივსო? რა ხდება... ნუთუ ჩვენი ქალაქის მესვეურები ამას ვერ ამჩნევენ? იქნებ ფეხებზე გკიდიათ? ან იქნებ წილში ზიხართ და თვალები გენაბებათ?.. ძალიან არ მინდა ასე ვიფიქრო! არაფრით არ მინდა! მაგრამ ფაქტი ჯიუტია!**

**ქართველ კაცს ქუჩაში ლუდის დალევისთვის 200 ლარიან ჯარიმას რომ უწერთ და ერთი მასტირკა პლანის მოწევაზე ციხეზე უშვებთ... ამას კანონი მოითხოვს! და თუ ქართველ ახალგაზრდა გოგონებს გადამთიელები გვიბახებენ ეს კანონიერია ხომ?.. მაინც და მაინც სახლებში უნდა შემოგივარდნენ და ცოლ-შვილი გაგიბახონ, რომ ერთი ადგილი გაანძრიოთ? როგორც ჩანს თქვენთვის მთავარია გახდეთ მინისტრები, დეპუტატები, პრემიერები, პრეზიდენტები და რა ქვეყნისა იქნებით არ გაინტერესებთ... და საქართველო, რომ საქართველო აღარ იქნება...**

**არ გემუქრებით, ღმერთმა დამიფაროს, მე მხოლოდ ჩემი ქვეყნის სიყვარული მალაპარაკებს... უბრალოდ გაფრთხილებთ, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, გონს მოეგეთ! და გთხოვთ, მიხედეთ ამ პრობლემას, თან ძალიან მალე! ეს დღეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რისთვისაც თქვენ "იბრძვით", ერთმანეთს ლაფს ასხავთ, ნაცები, ქოცები და კიდევ ათასი რამ.... ვინ მოიგონა ეს იდიოტობა? ჩვენ ხომ ქართველები ვართ! მოვეფეროთ და მოვუაროთ ჩვენს საქართველოს! რისთვის გინდათ ეს მოგება და გამარჯვება? ჯიბეები რომ დაისუქოთ და მერე აქედან დაახვიოთ?... და ვის უტოვებთ ქვეყანას? ამათ? ამ გადამთიელებს?... უკან დაგრჩებათ თქვენი ადგილებიც და ყველაფერიც. გონს მოეგეთ! ეს ჩემი თხოვნაც არის და გაფრთხილებაც. ჩემნაირად ძალიან ბევრი ქართველი ფიქრობს და არა მარტო ქართველი, არამედ აქ მაცხოვრებელი სხვა ეროვნების წარმომადგენელიც. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ავიღოთ ჩვენს თავზე ამ პრობლემის მოგვარება და გადაწყვეტა, მაშინ ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი და პირველ რიგში თქვენთვის. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიულად ქართველი კაცის გენეტიკური მოვალეობაა მანდილოსნის დაცვა და გაფრთხილება, რამეთუ ის მომავალი ქართველი დედაა!", –**

წერს მიშა გომიაშვილი.

# სამეგრელო-ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა









სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან რესტავრაცია სრულად მხოლოდ წალენჯიხის სოფელ სქურის ფერისცვალების ეკლესიას ჩაუტარდა. ნაწილს ახლაც არემონტებენ, ზოგიერთი კი ჯერ კიდევ პროექტირების სტადიაშია. ასეთია მაგალითად, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი.

**„ვფიქრობთ, ბოტანიკური ბაღის აღდგენითი სამუშოების პროექტირებას უახლოეს პერიოდში დავასრულებთ. ცნობილია, რომ მის რესტავრაციას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს“,** – განუცხადა **„ლაივპრესს“** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ.

მისივე თქმით, მიმდინარეობს ასევე, ენგურჰესის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენის მენეჯმენტ-გეგმაზე მუშაობა.

**„პროცესში ჩართული გვყავს უცხოელი სპეციალისტები, უნდა მომზადდეს, მენეჯმენტ-გეგმა, რომელშიც ზუსტად იქნება გაწერილი, თუ რას შევთავაზებთ ტურისტებს. მოსაწყობია მუზეუმიც. სავარაუდოდ, ენგურჰესის მენეჯმენტ-გეგმა ამ წლის ბოლოს მზად გვექნება, შემდეგ ვნახავთ რა და როგორ“,** – ამბობს ნიკოლოზ ანთიძე.

სააგენტოს ინფორმაციით, აღდგენის საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება ხობის საეპისკოპოსო სასახლისთვისაც. სასახლე მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული, რომლის პროექტირება უკვე დასრულებულია.

**„ხობის მონასტრის აღდგენა უახლოეს მომავალში დაიწყება“,** – უთხრა **„ლაივპრესს“** ხობის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა როზეტა შულაიამ.

ხობის მონასტერი XIII-XIV საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლად ითვლება, თუმცა მის ტერიტორიაზე ბოლო დროს მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ის უფრო ადრეული პერიოდისაა.

ხობიდან ათეულ კილომეტრში, სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ნოქალაქევის აღდგენის საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულდა. ისტორიკოსების ვარაუდით, არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქი **აია,** საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოიპარეს.

სენაკის გამგეობაში **„ლაივპრესს“** უთხრეს, რომ **„პირველ რიგში დაიწყება ნოქალაქევის მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები“.**

ნოქალაქევიდან მობრუნებულზე, ან პირიქით, აუცილებლად უნდა შეიაროთ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში. მართალია, ახლა იქ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ შენობის ექსტერიერის დათვალიერებას მაინც შეძლებთ. სენაკის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა თენგიზ ბაღათურიამ **„ლაივპრესს“** უთხრა, რომ თეატრის რეკონსტრუქცია 2017 წელს უნდა დასრულდეს.

სენაკიდან არც ისე შორს, მარტვილის სოფელ ნოღაში რესტავრაცია უტარდება ციხეს, რომელიც ისტორიული ცნობებით, დადიანების სათავდაცვო ნაგებობას და საცხოვრებელს წარმოადგენდა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები გაზაფხულიდან გაგრძელდება დადიანების კიდევ ერთ სასახლეში, რომელიც ზუგდიდში მდებარეობს და ნიკოს სასახლედ არის ცნობილი.

**„მიმდინარეობს კედლების გასუფთავება ნარჩენებისგან, სარდაფების და საძირკველის მიწისგან გასუფთავება“,** – ამბობს დადიანების მუზეუმის დირექტორი ლილი ბერაია.

თუ მთაში დასვენებას გადაწყვეტთ და ზემო სვანეთისკენ აიღებთ გეზს, სვანეთის მუზეუმთან ერთად აუცილებლად უნდა ნახოთ უშგულის თემის სოფელ ჩაჟაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც შუასაუკუნეების არქიტექტურულ კომპლექსად ითვლება.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გვითხრეს, რომ ჩაჟაში ამ ეტაპზე, კოშკების და მაჩუბების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში აცხადებენ, რომ რესტავრაცია სრულად ჩაუტარდა ფოთის კოლხური ისტორიის მუზეუმს. ელენე გაბლიანი, მუზეუმის დირექტორი **„ლაივპრესთან“** სატელეფონო ინტერვიუში აცხადებს, რომ შენობის რესტავრაცია ნაწილობრივ მოხდა:

**„მუზეუმს აქვს საგამოფენო დარბაზი, და ნიკო ნიკოლაძის კოშკი. შენობას, სადაც არქეოლოგიური გამოფენაა განთავსებული, რესტავრაცია რამდენიმე ეტაპად ჩაუტარდა. გამოცვალეს სახურავი და გაამაგრეს შენობა, რომელიც 1907 წელს არის აშენებული, რაც შეეხება ნიკოლაძის კოშკის რეკონსტრუქციას, გაირკვა, რომ მას 2018 წლისთვის „ქართუ ჯგუფი“ განახორციელებს“.**

**ნანა ხუბუტია**





# გელა ზედელაშვილი: თუ წარბების მიხედვით ვიმსჯელებთ – მონღოლური წარმოშობისაა...



ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი სულხან მოლაშვილის წამების ფაქტზე **“ნაციონალური მოძრაობის”** წევრის, გიორგი კანდელაკის განცხადებას აფასებს და წერს, რომ **“თუ კანდელაკის ტვინში ჩავიხედავთ – ნახერხის მეტს ვერაფერს აღმოვაჩენთ!”**

**“თუ ამ ადამიანის წარბების მიხედვით ვიმსჯელებთ – მონღოლური წარმოშობისაა, თუ თავისა და მასზე ამოსული ბუსუსების მიხედვით ვიმსჯელებთ – პაჭანიკია, თუ სკალპს ავხდით და მის ტვინში ჩავიხედავთ – ნახერხის მეტს ვერაფერს აღმოვაჩენთ!!!”** – წერს ზედელაშვილი.

**“ბატონი მოლაშვილი ციხეში არ უწამებიათ”,** – ასე უპასუხა **“ნაციონალური მოძრაობის”** ერთ-ერთმა წევრმა გიორგი კანდელაკმა ჟურნალისტის შეკითხვას – გრძნობს თუ არა მორალურ ან სამართლებრივ პასუხისმგებლობას **“ნაციონალური მოძრაობა”** სულხან მოლაშვილის გარდაცვალების გამო.

კანდელაკის თქმით, მოლაშვილის გათავისუფლებიდან 10 წელი გავიდა.

**“10 წელი გავიდა მისი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვი. არ უწამებიათ ბატონი მოლაშვილი ციხეში, ისევე როგორც ბატონი მირცხულავა”,** – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

კანდელაკის ამ დაშნაკურ განცხადებას ასევე გამოეხმაურა ჟურნალისტი გია გაბრიჭიძე:

**“ამ ვირიშვილ კანდელაკს თავში სულ სტრასბურგის მოსამართლის ჩაქუჩი უნდა ურტყა!**

**ისე, ვინ ვინ, და ამათ ზეპირად იციან რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განჩინების მიხედვით, სულხან მოლაშვილის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეთოთხმეტე მუხლები. ჰოდა, ეს მუხლები, ჩემო “სამართლიანებო”, ეხება ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციისა და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა.**

**გეყურებააათ?**

**თან ზრდილობიანად რო ამბობს: არ უწამებიათ ბატონი მოლაშვილიო!**

**ვინ არიან ეს უსისხლო და უჯიშო ხალხი!”**

# სპორტსმენების დააჯილდოება

ქალაქ ზუგდიდის მერიამ, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს ფულადი პრემიები გადასცა.

მსოფლიო ჩემპიონს ძალოსნობაში გიორგი ჩხეიძეს 2600 ლარი გადაეცა, ევროპის ჩემპიონს კრივში ლექსო კი ხასაიას 1200 ლარი. ასევე დაჯილდოვდა ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის მე-3 ადგილის პრიზიორი გიორგი ჩიქოვანი 800 ლარით.

ჩიქოვანსა და ხასაიას დაენიშნათ ყოველთვიური ხელფასი.

**„ასეთი კარგი შედეგები სამეგრელოს და ზუგდიდს დიდი ხანია არ ჰქონია, გვყავს მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი. ვულოცავ სრულიად საქართველოს, ვულოცავ ზუგდიდს და ვულოცავ სამეგრელოს ამ გამარჯვებას.“** – განაცხადა ზუგდიდის მერმა ირაკლი გოგოხიამ.

სპორტსმენებისთვის ჯილდოების გადაცემას სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი ლევან შონიაც დაესწრო.

# კოლხეთის დროშა

ჩემი ლაზი მეგობრის გაბრიელ კოლხიდას სტატუსმა მაიძულა მეპასუხებინა ამ წერილით, მითუმეტეს როცა ის სვამდა კითხვას. ცნობისთვის მოვიყვან მის სტატუსს, შემდეგ კი ჩემს პასუხსაც მოგახსენებთ. SIR SCOTT – ბრიტანულ ფორუმზე ამ სახელის მქონე პიროვნებამ გამოაქვეყნა დროშა,რომელსაც წააწერა: My flag for a long-gone Shared Worlds game , the Glorious Kingdom of Colchis. Credit to Norton for helping me find the rippling teture... და აცხადებს რომ ეს ჩემი დროშა კოლხეთის სამეფო დროშა არისო. თუ გსმენიათ ამ დროშის შესახებ ვინმეს? როგორც ვიცი, ასეთი დროშა აქვთ გოთებსაც... (Dalepe do cumalepe. ham bandara ingilizishi forumisen bziri.hemushi avt'ori Sir Scott-i ren do hem k'ochi isinapams ham bandara mcveshi k'olxepeshi bandara ren-ia do dido oint'eresoni ren. mitis mutu na gichkinan ham bandaresheni,doch'ait :)

### ჩემს მაგიერ ქვები ილაპარაკებენ

როგორც ვხედავთ ბატონი სირ სკოტი დარწმუნებულად აცხადებს,რომ: **„ეს დროშა რომელიც გოთებს განეკუთვნებათ, თურმე ძველი ცივილიზაციის – კოლხეთის დროშა არისო“.** იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ჩემი ლაზი მეგობრის შეკითხვას: **„თუ გსმენიათ ამ დროშის შესახებ ვინმეს?“**-ო, ვპასუხობ რომ: კი ბატონო, მსმენია. უფრო სწორედ, ვიცი და თან იმაზე მეტიც, ვიდრე ჩვენი ისტორიის გამყალბებლებს გგონიათ. იმისათვის, რომ გავერკვეთ საკითხის ავთენტურობაში, მოვყვეთ დასმულ კითხვას სათავიდან და მიმოვიხილოთ ძვ. გერმანული ტომის – გოთების ისტორიული წარმომავლობა,რომელიც მოგვცემს საშუალებას დასმულ კითხვაზე პასუხის მიკვლევისა.

### ვინ იყვნენ გოთები

გოთები (გოთ. Gutans; ლათ. Gothi, Got(h)ones, გუთონები; ძვ. ბერძნ. Γόθοι, Gonthi, ქართ. – გუთები) — ძვ,გერმანული ტომთა კავშირი II ს. ჩვ.წ-ით IX ს. ჩვ. წ. აღ-მდე, რომლებმაც გარკვეულ წილად დიდი როლი ითამაშა ევროპის ისტორიაში.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ გოთების ტომი ჩამოყალიბდა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. კერძოდ იმ ტერიტორიაზე,სადაც გოთების თავყრილობა მოხდა. გოთების ისტორიკოსი – იორდანი,რომელიც მოღვაწეობდა VI-ში,მოიხსენიებდა როგორც – **„სკანძა“.** II ს. ჩვ.წ-ით დიდი ბელადის **„ბერიგე“**-ს მეთაურობით გოთები დაიძრნენ **„სკანძი“**-დან დიდი მიგრაციისათვის, მათ გადალახეს ბალტიის ზღვა და დაიკავეს მდინარე ვისლას (დღ. პოლონეთის უდიდესი მდინარე) მიმდებარე ტერიტორიები, რომელ ალაგსაც იორდანი **„გოთისკანძად“** მოიხსენიებს. ისტორიკოს იორდანის წყაროდან ვგებულობთ, რომ მხოლოდ ხუთი თაობის შემდეგ რაც ბელად-ბერიგმა გააკეთა ევრორეიდი, ბელად ფილიმერის მეთაურობით კიდევ უფრო აფართოებენ ტერიტორიებს და ისინი დაიძვრიან სამხრეთით, ჩრდილო შავიზღვისპირეთისკენ. ამ მიგრაციის დროს გოთებს უერთდებოდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები და ბარბაროსების ეს უზარმაზარი მოძრავი მასა, რომელიც II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში მიადგა იმპერიას, დუნაის საზღვრების ჩრდილოეთით, იწყებს რომის საზღვრებში შეჭრას და გამანადგურებელ ლაშქრობებს,როგორც ხმელეთზე – ქვემო დუნაის მხრიდან, ასევე ზღვით – შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან. გოთების საშიშროების გამო ჯერ კიდევ იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი იძულებული გახდა დუნაის ჩრდილოეთით გამავალი საზღვრები გაემაგრებინა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებისათვის, რომელთაც შეეძლოთ შეეკავებინათ გოთების შემოტევა. დუნაიზე გოთების გამარჯვებებმა კიდევ უფრო გააქტიურა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტომების ბრძოლა რომის წინააღმდეგ და დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც გერმანულ ტომებში, ასევე სპარსელებში. იმპერიის სისუსტე ყველამ აშკარად დაინახა და მას ერთდროულად შეუტიეს გერმანელებმა, **„სკვითებმა“** და სპარსელებმა. რომში კრიზისმა და დეცენტრალიზაციამ კულმინაციას III ს. შუახანებში მიაღწია. გალიენეს (253-268 წწ.) მმართველობის დროს იმპერიის ყველა საზღვარზე კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. სწორედ ამ პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ჩართული იქნა იმ პოლიტიკურ კატაკლიზმებში, რომელსაც განიცდიდა რომაული სამყარო და იგი მოექცა იმპერიის ყველაზე საშიში მტრების – გოთების თავდასხმების არეალში.

ზოგიერთი მკვლევარი კი ამბობს რომ იორდანი ეყრდნობოდა პტოლემეს ნაშრომებსო,რომელიც ზემოთ მოყვანილ ტერიტორიებს **„სკანდიას“** ეძახდაო.

### სკანძა=სკანდია=სკანდე

სხვათაშორის, რაც კი მსოფლიოში არსებობდა ხალხი იმათი ეთნონიმური სახელის 70%-ის იდენტი შემონახულია ქართულ გვარ-სახელებში. იმათ ჩამოთვლას აქ ვერ მოვყვები, მაგრამ კონკრეტულ ტოპონიმურ დასახელებებს, რომელიც ასახულია გვარ-სახელებში – მოგახსენებთ: გოთები (გოთუა), სკანდია (კანდიდ – მამაკაცის სახელი) და ა.შ.

ჩვენ გავეცანით პირიქითა საქართველოს ტერიტორიას, კერძოდ, ევროპის კონტინეტზე მდებარე სკანდინავიის კუნძულებით წოდებულს, ეხლა კი განვიხილოთ მისი ანალოგი შიდა საქართველოს ტერიტორიაზე. სადაც ჩვენ ვნახავთ საერთო ტოპონიმებს (და არა მარტო) ძვ. გერმანულ და ქართულ ცივილიზაციასთან.

**სკანდე** (სოფ.) – მდებარეობს თერჯოლის მუნიც-ში. სოფ. სკანდას ჩრდილოეთით მდ. ჩხარის (ჩხარა სვანურად ცხრას ნიშნავს) მარცხენა ნაპირზე, მაღალ, კლდოვან გორაკზე. ხოლო იქვე მდებარეობს სკანდის ციხე-სიმაგრე, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ჩამოუდის ბერისწყაროს ღელე. (პროკოპი კესარიელი 1965: 185, 186).

წყაროების მიხედვით სკანდას ციხე IV ს-ში ააგო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ ქართლის საზღვარზე, მნიშვნელოვან გზასაყარზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აკავშირებდა იმერეთსა და შავი ზღვისპირეთთან. VI ს-ის პირველ ნახევარში სკანდაში ბიზანტიის გარნიზონი იდგა.

ეს ისტორიული ექსკურსი მიტომ გავაკეთე, რომ თარიღებით დამემტკიცებინა დიდი ევროპული ტომის **„სკანდიას“** და თერჯოლაში არსებული ქალაქ **„სკანდას“** საერთო ენობრივ ბაზაზე აღმოცენება.

აბა, კარგად გადავავლოთ თვალი და შევაკოწიწოთ ისტორიის გაწყვეტილი ძაფი. გოთები II-ს-დან იწყებენ დიდ მიგრაციას, მე III-ს-თვის ბელადი ბერიგოს მეთაურობით ისინი მიადგნენ დუნაის საზღვრებს ჩრდილოეთით და იწყებენ რომის საზღვრებში შეჭრას. ხოლო მეხუთე თაობის ბელადი ბერიგოს შემდეგ – ფილიმერი – შემოდის ჩვენს ტერიტორიებზე (ბიზანტიის ტერიტორიად წოდებული) და აწარმოებენ გამანადგურებელ ლაშქრობებს როგორც ხმელეთზე – ქვემო დუნაის მხრიდან, ასევე ზღვით – შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან.

(პროკოპი კესარიელი კი გვარწმუნებს, რომ 1965: 185, 186). წყაროების მიხედვით სკანდას ციხე IV ს-ში ააგო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამო. როგორც ხედავთ თერჯოლის ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრის აშენება ემთხვევა გოთების შემოსვლას ძვ. კოლხეთის ტერიტორიაზე.

რა ლამაზად შევაერთე არა? სად გოთები და სად მეგრელ-ლაზები? მე, უბრალოდ, შევკარი ის კვანძი რომელიც ერთ დროს ურჯულო მომხდურებმა და უღმრთო ქართველებმა დაგვიგლიჯეს.

და მაინც რას ნიშნავს ტოპონიმი **სკანდია**?

სკანდია ძვ. ქართულით (მეგრული) სიტყვა სიტყვით ასე განიმარტება – სკან (შენი) +დია (დედა).

აი, თუ რამხელა ექსკურსი დაგვჭირდა ამ ტოპონიმის მეგრულ ენის წარმოშობის ავთენტურობისთვის. **„გოთუებმა“** რომლებმაც დაარსეს **„სკანდია“** და ასები, ანუ აზები (ღმერთები): ოდინი – უზენაესი ღმერთი და თორი – ჭექა-ქუხილის ღმერთები (საიდანაც მოდის ჩემი გვარიც – თორდია (სკანდია)). გოთურ ღმერთ **„თორის“** საპატივცემლოდ საქართველოში არის ტოპონიმები: თორსა – სოფ. ხობის რაიონში და თორი – სოფ. ბორჯომის რაიონში.

მოსული გოთები და დახვედრილი აბორიგენი ეგრისის მოსახლეობა ერთმანეთს ძლივს, მაგრამ აგებინებდნენ სათქმელს, რადგან ათეულ საუკუნოვანმა განშორებამ თავისი კვალი დატოვა სალაპარაკო ენაში.

ეხლა მიმოვიხილოთ გოთების დროშის საკითხი. როგორც სირ სკოტი აცხადებს **„ეს ჩემი დროშა ძველი კოლხეთის სამეფოს დროშა არისო“**, უნებლიედ იბადება კითხვა: საიდან გაითავისეს ეს გოთებმა? ეჭვი იყოფა ორ ლოგიკურ კითხვად: 1) გოთებმა იგი კოლხეთში ლაშქრობისას მოიწონეს და მიისაკუთრეს, ან 2) გოთები ყოფილან ერთ დროს კოლხთა ჯიშის ნაწილნი, რომელთაც თავიდანვე შენარჩუნებული ჰქონდათ კოლხური თვითმყოფადობა. პასუხი; პირველი – არარეალური ვერსიაა, რადგან დამპყრობელი დაპყრობილის დოვლათს კი ითვისებს, მაგრამ არა დროშას, რადგან ეს მტრის ბრძოლისუნარიანობის – სიძლიერის სიმბოლოა. ის ანგრევს მიღწეულს და თავისი კანონები შემოაქვს და არა პირიქით. ასე რომ ეს აზრი ანულირებულად უნდა ჩათვალოს. 2) ეს აზრი უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, რადგან: კოლხეთის სამეფო ისტორიაში ცნობილია (ძვ. წ. XVI-VIII სს-ში) და თანაც მთელი ანტიკური დროის ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ კოლხეთში ოქროს ვერძის არსებობას და მას ოქროს საწმისის ქვეყნად თვლიან. როგორ ფიქრობთ, ქვეყანას, რომლის სადარი იმ დროს დედამიწაზე არავინ იყო, თავის დროშა ან ღერბი არ ექნებოდა? ან საკუთარი ენა-სალაპარაკო არ ექნებოდა? ან, როგორ ფიქრობთ, ამხელა სამეფოს არ ეყოლებოდა თავის ისტორიკოსები, მეცნიერნი, ხელოვანნი და ა.შ., ან კი სად წავიდა ამდენი ნაწერი, რომელთაც ქმნიდნენ ეს მენცარნი? ან კი რატომაა, რომ კოლხეთის ისტორიულ ამბებს მხოლოდ ძირითადად ბერძნული წყაროებში ვპოულობთ? ჯერ ერთი და, გასაოცარია, თუ არა სატირალი, რომ საკუთარი დიდების არაკებს უცხოელის უბეში რომ ვეძებთ, სად წავიდა ის რგოლი, რომელიც მეფესთან ერთად ქმნიდნენ ამ დიდებულ ქვეყნას (მინისტრები და სამინისტრო?), გამოდის, თითქოს მარტო მეფე აიეტი, მედეა და უბრალო ხალხი იყო. ან კი რატომ მოდიოდა ყველა კოლხეთისკენ? ან სად მიჰყავდა მოსეს ხალხი, რომელი იყო ეს „აღთქმული ქვეყანა“?

### აღ+თქმა-აღ+სასრული, აღ+დგომა

ამ დროს და შემდგომაც სახელმწიფოები თავიანთ დროშასა და გერბზე ცდილობდნენ ადგილობრივი რესურსების, პოტენციური მატერიალური თუ სულიერი სიმდიდრეების გამოსახვას. ეს საყოველთაოდ მიღებული სტანდარტი. კოლხეთი კი თავის დროს ცნობადი გახდა ორი სიმდიდრით: ეს იყო – ოქრო (მატერია) და ცხვარი (სულიერება, ტყუილად კი არ არის ბიბლიაში ქრისტე ცხვართან და კრავთან შედარებული), რომელიც ტოტემურ ღვთაებად ითვლებოდა. თუმცა, ცხვარი მართლაც ულევი იყო იმ დროინდელ კოლხეთში და საბალახო მიწებიც უკიდეგანო, რადგან კოლხეთი ნოტიო მიწისა და თბილი ჰავის გამო მწვანე ბალახისთვის იდეალურ პირობებს იძლეოდა. ხოლო, თუ ამ აზრს გავაგრძელებთ და გავიხსენებთ, რომ კოლხეთიდან სწორედ რომ **„ოქროს ვერძი“** გაიტანეს, მიხვდებით კოლხეთის დროშაზე დიახაც რომ უნდა ყოფილიყო გამოსახული ცხვარი ოქროს ფერით.

ნუთუ ამოდენა სიმდიდრის პატრონს ერთი ფურცელი მაინც არ შემორჩა საკუთარი ისტორიკოსების ნაწერი, რომ იგი შთამომავლობისთვის გადაეწერათ? **„ქართლის ცხოვრებაში“** კი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის შესახებ ძირითადად სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის ცნობებს ეყრდნობიან. ეს რა ვაკხანალიაა? მგონი გვეყოფა გოთების მიგრაციული რეიდის განხილვა.

ეხლა გავიგოთ თუ ვინ არის ეს გოთების ისტორიკოსი იორდანი. ამისათვის კი საჭიროა მოვიძიოთ მისი ამოსავალი წერტილი, ანუ, თუ სად არის ამ სიტყვის წარმოშობის თესლი დამალული. უცხოელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ იორდანის მამა ყოფილა ალანი. დიახ, მეგობრებო, ეს ის ალანებია, რომლებიც კავკასიაში ერთ-ერთ ძლიერ ტომად მოიხსენიება. დღემდე მსოფლიო მეცნიერები ჯეროვნად ვერ ჩამოყალიბდნენ მდინარე იორდანეს ეტიმოლოგიურ წარმოშობაზე. გავრცელებულია სხვადასხვა ეტიმოლოგიური ვარიანტები სემიტური ენებიდან: **„ქანავა“, „შუმეთი“**, ამათგან ყველაზე მეტად ემხრობიან აზრს მდინარის ებრაული სახელწოდებისა – **„იარდენი“**, რომელიც მოდისო




სიტყვიდან **„იერედ“ („დაშვება“, „ვარდნა“).** მინდა მოგახსენოთ, რომ ეს ვერსიები არც ერთი არაა მართებული. არის მეცნიერთა პატარა ჯგუფი, რომელნიც მიუახლოვდნენ ამ ბიბლიური მდინარის სახელის ეტიმოლოგიას. აი, მაგ. რას წერს ერთ-ერთი მათთაგანი, რუსი ლინგვისტი, სემიტოლოგი, ანტროპოლოგი... ვ.ვ. ივანოვი: **„მდინარე იორდანეს სახელი შეიძლება დიდი ალბათობით მომდინარეობდეს „შავი ზღვისპირელი ხალხიდან“, კერძოდ ფილისტიმელებიდან, რომლებიც მოსახლეობდნენ თავის დროს ამ არეალშიო“** აი, კაცი! ეს კი ყველამ იცის რომ ფილისტიმელები პელაზგების ერთ-ერთი დინასტიაა და რომ ეს ასეა ამას ახლავე დაგიმტკიცებთ. განვიხილოთ ჰიდრონიმ **„იორდანის“** ეტიმოლოგია. ამისათვის უნდა მივმართოთ ბიბლიის წყაროს.

### იესოს ნათლისღება

***9. „... მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთიდან და მოინათლა იოანეს მიერ იორდანეში.***

***10. და უცბად, როცა წყლიდან ამოდიოდა, იხილა გახსნილი ცა და სული, მტრედივით გარდამომავალი მასზე.***

***11. და ციდან იყო ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.***

***"ესე არს ძე ჩემი საყუარელი... ამისი ისმინეთ!"***

***მარკოზი 1-11***

დასკვნა: ძვ.ქართულით (მეგრულით) სიტყვა **„გიორდან“** არის – **„გიყვარდეთ“**, ხოლო **„იორდანე“** არის პირველის შეკვეცილი – და+კოდ+ილი სიტყვა. სიტყვა **„გიორდან+ე“** ზუსტად, მთელი 100%-ით ასახავს სიტყვის მნიშვნელობას, არსს და მის მიზანმიმართულობას, კონკრეტულად კი იმას, თუ რა დროს და ვის მიმართ იქნა თქმული ეს გენიალურად ლამაზი სიტყვა.

გიორდან (გიყვარდეთ+ე(ის)!!!

და მერე ვინ ამბობს ამას? **„და ციდან იყო ხმა“**-ო, ე.ი. ღმერთის სიტყვაა ეს, მინიშნებაც და ბრძანებაც – გიორდან+ე, გიყვარდეთო+ის.!

გოთებმა, როგორც ძვ. გერმანულ ტომებმა, **„სკანდია“**-ში ააღორძინეს დაკარგული კოლხური ცივილიზაციის კულტურა, მათ შექმნეს მთელი რიგი ღმერთთა პანთეონები, მათ შორის უმთავრესი: **„ოდინი“** (1. რაც კოლხური ცივილიზაციის – მიწის ღმერთია (გაიხსენეთ სამიწათმოქმედო მეგრ. სიმღერა **„ოდო+ია“**. 2. ოდინი სიტყვა სიტყვით კი ნიშნავს – გადასაკარგვეთი (შორს, გადაკარგულებს) და სწორედაც რომ კოლხეთიდან გადასაკარგვეთშია **„სკან+დია“** (შენი დედა, შენი სამშობლო). 3. შუა საუკუნეებში სამეგრელოს ღვთაება ოდის სახელი ერქვა – **„ოდიში“** (რაც ოდ-ის ქვეყანას ნიშნავს). თორ – ჭექა-ქუხილის ღმერთი. აქედან ჩაისახა თორდიების გვარი, რომლებიც ათეული საუკუნის შემდეგ დაუბრუნდნენ თავის ძირძველ სამშობლოს. და **გოთ** – მომავალი გერმანების მთავარი ღმერთი, რომელიც წარმოიშვა თავად ეთნონიმიდან, თუ მანამ დაადგინეს სანამ რაიმე სახელით მოინათლებოდნენ? (რაც გახდა საფუძველი გოთუების გვარის ჩასახვისა და იგივე მიგრაციის შემდეგ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას).

ეხლა გავერკვეთ, თუ საიდან მოიტანეს **„გოთებმა“** (გოთუებმა) ეს სიტყვა-ტერმინი – **„გოთ“.** ვინაიდან **„გოთები“** იყვნენ დაკარგული კოლხური ცივილიზაციის ერთ-ერთი შტო, ბუნებრივია, ისინი იმ პირველად ენაზე ისაუბრებდნენ რაც დომინირებდა კოლხეთში. სწორედ რომ ამ ენაზე დაყრდნობით მათ შეიმუშავეს ისეთი ღმერთის სახელი, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნებოდა კოლხურ ენასთან და მისი უკვდავყოფის სახსოვრად შეიმუშავეს ღმერთის სახელ-სიტყვა **„გოთ“** ( ამ ღმერთის სახელის ეტიმოლოგია არსად არ იძებნება). ბუნებრივია, ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო დაკოდილი, ისევე, როგორც **„იორდანე“,** რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოსთვის დღესავით ნათელი იქნებოდა გერმანების ღმერთის რაობა და წარმომავლობა. ვიცით, რომ ერთ სიტყვას გააჩნია რამოდენიმე განმარტება, თანაც სხვა და სხვა აზრისა და შინაარსისა. მაშ ასე, რას წარმოადგენს სიტყვა **„გოთ“** კოლხური ენით: 1.გოთანა, 2. გოთანდ, 3.გოთანგ და 4. გოთ. 1. გოთანდ=დილა, 2.გოთანდ=გათენდა (ამ სიტყვების ეტიმოლოგიაზე მე ჩემ წინა წერილში **„გელათი-გენათი“** მქონდა საუბარი. 3.გოთანგ=(გაასწორე, გაამართლე, გამართე), 4.გოთ- ამ სიტყვას ორი განმარტება აქვს. პირველი – (პირდაპირი გაგებით ის ნიშნავს – **„კიდევაც“** და მეორე – (მეგრელები აღდგომას ასე ახარებდნენ ერთმანეთს – **„გოთანდ“**! რაზეც პასუხი იყო შემდეგი – **„გოთ გეთანდ“** (ჭეშმარიტად აღსდგა, ჭეშმარიტად გათენდა), ანუ (კიდევაც აღსდგა). ანუ, ამ შემთხვევაში სიტყვა **„გოთ“** არის **„ჭეშმარიტებაც“, „გამართეც“, გაამართლეც“, „სიმართლეც“ „გათენებაც“** და **„აღდგომაც“.** აი, ბატონებო, როგორ გავედით ფინიშამდე და დავიბრუნეთ – აღვადგინეთ (რესტავრაცია ჩაუტარეთ) დაკარგული ცივილიზაციის ენობრივ ნამსხვრევებს. (ეს რომ გერმანელებს აცოდინა?).

დავით თორდია,

*(გაგრძელება მე-11 გვერდზე)*

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

სწორედ დამწიფებასთანაა (გუნა-ფასთან) დაკავშირებული მევენახეობა-მეღვინეობის ამ წარმართული ღვთაების სახელი, ხოლო რაც შეეხება სამეგრელოში გავრცელებულ ტერმინს **„ჯუჯელია“**, ის უფრო მოგვიანო პერიოდისა სჩანს.

**აზია** – არსებობს უძველესი მსოფლიო რუქები, რომელთა უკიდურეს აღმოსავლეთს წარმოადგენს ქალაქი ფაზისი. ეს რუქები მოიცავდნენ ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებს, იმ დროის წარმოდგენებით მხოლოდ ეს რეგიონები წარმოადგენდნენ იმდროინდელ მსოფლიოს. მაშინ კოლხებს უწოდებდნენ **“ფაზიანებს”** ან **“ფაზიანიდებს”**. ქალაქ ფაზისის სახელწოდების მიხედვით.

დროთა განმავლობაში ადამიანთა თვალსაწიერი გაფართოვდა. დაიწყო ხალხთა მიგრაციები აღმოსავლეთისაკენ და პირიქით, დასავლეთისაკენ. მარკო პოლომ მიაღწია ჩინეთამდე, ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა და საბოლოოდ, დედამიწის რუქამ მიიღო ჭეშმარიტი სახე. სახელი აზია კი, რომელიც მომდინარეობს ფაზიანების (ფაზიანიდების) სახელიდან შეკვეცილი ფორმით შერჩა მთელ კონტინენტს.

ამის გამო მართლაც საშვილიშვილო საქმედ მიგვაჩნია, რომ ქალაქ ფოთს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი – ფაზისი. ეს საკითხი დაისვა **“ფაზისის”** აკადემიაში ბატონ ნუგზარ ნადარაიას მიერ და ჩვენი აზრით, ყველა ქართველმა პატრიოტმა ამ წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროს.

**ბასრი** – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია (არაბ. ბასრი **„ბასრისა“**, არაბეთის ქალაქ ბასრის (ფოლადი)) და ნიშნავს მეტად მჭრელს, მახვილს.

მეგრულად ლასირ-უა ნიშნავს ლესვას, ხოლო ლასირ-ელი ალესილს და სწორედ აქედან გამომდინარედ მიგვაჩნია სიტყვა **„ბასრი“**, რადგანაც იგი მჭრელს, მახვილს (სხვათა შორის ეს სიტყვაც – **„მახვილი“** კოლხური წარმომავლობისა: მა-ხვილირი. **„მე-დამწყვდეული“**) აღნიშნავს, როგორიცაა სწორედ ალესილი ლითონი, ხოლო რაც შეეხება ფოლადს, ის არის ლითონი, რომელიც სრულიად აუცილებელი არაა, რომ ბასრი იყოს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართველთა სენია, თუ რაიმე სიტყვის ძირს შეამჩნევენ უცხო ენებში, უმალვე ჩათვლიან, რომ ეს სიტყვა ამ უცხოური ენიდან მომდინარეობს. როგორც აღიარებულია, კოლხები პირველი მელითონეები იყვნენ და არაფერი გასაკვირი იმაში არ არის, რომ სიტყვა **„ბასრი“**-ს ეტიმოლოგია უკავშირდებოდეს კოლხურ ლასირ-უა (ლესვას) და არა არაბულ ქალაქ ბასრას (ფოლადი).

**ბერეშით** – ებრაული დაბადების (საიდანაც შემდგომი თარგმნის სხვა ენებზე) პირველი თავის, პირველი მუხლის პირველი სიტყვა, რაც ნიშნავს **„თავდაპირველად“**, ამ სიტყვას ჩვენ შეგვიძლია მივუსადაგოთ კოლხური სიტყვა **„იბერიშით“** (იბერისით). ე.ი. პირველი მუხლი **„თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“** შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც **„იბერისით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“**. მეორეს მხრივ **„ბერე“** მეგრულ-ლაზურად ნიშნავს **„ვაჟიშვილი“, „ძე“, „პირმშო“**, ასე რომ, **„ბერეშით“** შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც **„ძისით“** და ამ შემთხვევაში პირველი მუხლი წაიკითხება: **„ძისით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“**.

ეს მოსაზრება რომ ვინმეს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად არ მოეჩვენოს, მოვიყვანთ ამონარიდს წიგნიდან «Толковая библия» подредакцией профессора Д.П. Лопухина, «Ветхий Завет», т.I, Москва, стр.32, «Книга Бытия», гл.1.

1. В начале сотворил Бог небо и землю.

В начале… Как у святых отцов, так и во всей последующей истолковательной литературе существуют два главных типических толкования данного слова. По господствующему мнению одных – это простое хронологическое указание «на начало творения видимых вещей» (Эфрем Сирин), т.е. всего того, история постепенного образования чего излагается непосредственно далее. По аллегорическому же толкованию других (Ориген, Амвросий, Августин и пр.), слово «в начале» имеет здесь индивидуальный смысл, заключая в себе прикровенное указание на предвечное рождение от Отца второй ипостаси Святой Троицы – Сына Божия, в Котором и через Которого было совершено все творение (Ин. 1:3; Кол. 1:16)».

სწორედ ამ ამონარიდიდან, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილიდან (რომელსაც მხარს უჭერდნენ ისეთი ავტორიტეტები, როგორებიცაა ორიგენე, ამბროსი, ავგუსტინე და სხვა) აშკარად სჩანს, რომ ჩვენი მოსაზრება დაბადების პირველი თავის პირველი მუხლი წაკითხულ იქნას, როგორც **„ძისით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“**, საკმაოდ რეზონულია და მას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.

**გლობუსი** – (ლათინური globus-იდან რაც ნიშნავს ბურთობი, სფერო) – დედამიწის მოდელი მცირე მასშტაბისა.

გოლუაფა მეგრულად ნიშნავს შემოვლებას, გოლუაფირი კი შემოვლებულს, **„სქან გოლუაფირო“** ნიშნავს – **„შენ შემოგევლე“**. შემოვლება შეიძლება მრგვალ, სფეროსებრ საგნებზე. მაგალითად, როდესაც ბავშვს ეტყვიან, **„სქან გოლუაფირო“**, მას ხელს შემოავლებენ თავზე. აქედან გამომდინარე, აშკარაა ამ სიტყვის კოლხური წარმომავლობა, მითუმეტეს, რომ ლინგვისტურად არავითარ სირთულეს არ წარმოადგნს გოლუაფა-დან გლობ-უს-ის მიღება. აქედანაა ნაწარმოები სიტყვა გლობალიზაცია.

**ერიხთონიოსი** – Erichthonios – ხთონიური მითის ცნობილი გმირი, არსებითად იგივე ერეხთევსი EErechtheus – იგი ჰეფესტოს და გეას შვილია. მიწის ქალღმერთმა, გეამ შვა ერიხთონიოსი (ზემოთ კაცი, ქვემოთ – გველი). ეს ყრმა გადასცა მერე ათენამ გასაზრდელად ქალიშვილებს, რომელთაც კალათაში ჩაიხედეს, ნახეს გველ-ბავშვი და ათენამ ამისათვის კეკროპის ასულები გააგიჟა, ამ მითში იცნობა ძვ. ხთონიური ღვთაება, რაც ათენას კულტში შეერია და უჩვეულო მითების წყაროდ იქცა (ა.გელოვანი **„მითოლოგიური ლექსიკონი“** გვ.176).

როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა ლექსიკონში ახსნილი არ არის, თუ არ ჩავთვლით, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი Erichthonios გამომდინარეობს სიტყვიდან **„Chthon“ chthonos** რაც მიწას ნიშნავს, რაც შეეხება სიტყვის პირველ ნაწილს **„ერი”** (Eri) უნებურად იბადება აზრი, რომ ხომ არ შეიძლება ეს ფორმატი იყოს სიტყვა გვერის (გველის) ამ სიტყვაში შემორჩენილი ნაწილი. მითუმეტეს ამის დაშვების შესაძლებლობს იძლევა ის ფაქტი, რომ ერიხთონიოსი ზემოთ იყო კაცი, ქვემოთ-კი გველი.

ამ აზრს მხარს უმაგრებს ის გარემოება, რომ მიწიერი იდუმალებით და ნაღვლიანი განწყობილებით გამორჩეულ ხთონურ ღმერთებსა და ქალღმერთებს ხშირად თან ახლავთ ატრიბუტი – გველი, და ერიხთონიოსიც ხომ ხთონიური ღმერთების შთამომავალია.

რაც შეეხება თვით სიტყვა ხთონს (Chthon) მისი ფუძე არის **„ხთ“**, რაც წარმოადგენს **„თხ“**-ს მეტათეზა და რაც უდევს საფუძვლად სიტყვას **„თიხა“**, რომელიც ჩვენი აზრით მომდინარეობს სიტყვიდან **„დიხა“** (მიწა). სწორედ „დიხა“-საგან არის ნაწარმოები ბერძნული სიტყვა **„ხთ-ონ“** (დიხა-თიხა-ხთ-ონ) და ეს სიტყვა ბერძნებს უნდა ესესხებინათ პელაზგებისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ საბერძნეთის უძველეს მოსახლეობას. პელაზგები, რომ მეგრელები იყვნენ, ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ ამონარიდი აპოლონიოს როდოსელის წიგნიდან **„არგონავტიკა“** (ბერძნულიდან თარგმნა აკაკი ურუშაძემ, თბილისი, 1948, გვ. 60): **„ვერც დოლიონებმა იცნეს ღამით უკანდაბრუნებული არგონავტები, მათ იფიქრეს, რომ მაკრისელ ვაჟკაცთა პელაზგური ლაშქარი მოგვადგაო“**. აქ მაკრისელები, ანუ მაკრონები იგივე მეგრელებია და ამ ფრაზიდან **„მაკრისელ ვაჟკაცთა პელაზგური ლაშქარი“**, დასტურდება პელაზგთა მეგრული (კოლხური) წარმომავლობა.

**ვარძია** – ვარძიის კომლექსი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, მესხეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

ვარძიის დაარსების შესახებ არსებობს ლეგენდები და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები:

**„მეფე გიორგი დიდებულებთან ერთად სანადიროდ წამოსულა, მეფეს თავისი ასული-პატარა თამარიც თან წაუყვანია. ნადირობა დაიწყო. ნადირობით გატაცებულ მეფესა და მის მხლებლებს ბავშვი აღარ მოჰგონებიათ. თამაშით გართული თამარი გამოქვაბულებში დაიკარგა. შეწყდა ნადირობა, აღელვებული და შეშფოთებული მონადირენი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თამარს ეძებდნენ – სად ხარ თამარ! დაიძახა ერთ-ერთმა მხლებელმა, გამოქვაბულში გზააბნეულმა თამარმა სიხარულით შესძახა „აქ ვარ, ძია!“ და დაერქვა ამ ადგილს „ვარძია“.**

**„მტერს რომ არ შეეტყო თამარ მეფის ადგილსამყოფელი, ვარძიაში თამარის ბრძანებით სამასსამოცდახუთი ოთახი იყო გამოკვეთილი, იმდენი ოთახი, რამდენი დღეცაა წელიწადში; ყოველდღე თითო ოთახი იკვეთებოდა და მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდა“.**

პირველ ლეგენდაში სიტყვა „ვარძიის“ წარმომავლობის დაკავშირება „აქ ვარ ძია“-სთან, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ის, ცხადია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რაც შეეხება აქ მონასტრის დაარსებამდე ძველი გამოქვაბულების არსებობას, ეს სრულიად რეალურია, რადგანაც ვარძიის კომპლექსის დაარსება გაცილებით ადრეული უნდა იყოს, ვიდრე გიორგი III-სა და თამარის ეპოქა.

მეორე ლეგენდის თანახმად, თამარის ბრძანებით, რათა მისი ადგილსამყოფელი არ შეეტყოთ, გამოკვეთეს ოთახები. ე.ი. ეს კომპლექსი თამარს დასამალავად სჭირდებოდა, ისევე, როგორც ადრეული გამოქვაბულებიც ამ ფუნქციას ასრულებდნენ და სწორედ **„ვარძირა“** მეგრულ-ლაზურად ნიშნავს **„არ გნახო“**. ასეთნაირი ეტიმოლოგია ამ სიტყვისა (ვარძია) ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამას წინათ თეა კალანდიას მიერ გამოცემულ წიგნში **„ლაზური ტექსტები“** (გამომცემლობა არტანუჯი, კოლხური სერია 5, 2008, გვ. 282) შევამჩნიე ერთ-ერთი ლაზური ლექსის შემდეგი სტრიქონი: **„ოკობდგითათ, მუჭო „ვარძირას“ კარა“**, რაც ნიშნავს, (შევერთდეთ), როგორც **„ვარძიას“ ციხე“**. ე.ი. ლაზურად ვარძიას ეწოდება **„ვარძირა“ („არ გნახო“)**, ანუ დასამალი ადგილი. იგივეა მეგრულშიც, მხოლოდ ამის შესახებ ერთეულებმა იციან და ის დავიწყებასაა მიცემული.

მესხეთში, რომ კოლხური ტოპონიმები უამრავია, ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ზოგი ტოპონიმის ასახსნელად შეიძლება ლაზური იქნას მეტად მისაღები, ზოგისთვისაც კიდევ მეგრული, რადგანაც, რაც მეგრულს დაჰკარგვია, ის შეიძლება შეინარჩუნა ლაზურმა და პირიქით.

საბოლოოდ, როგორც ვნახეთ, „ვარძია“ გამომდინარეობს კოლხური **„ვარძირა“**-დან, რაც ნიშნავს **„არ გნახო“**.

**თუთა** – მეგრულად ნიშნავს მთვარეს, თვეს. ძველქართულად თვეს ეწოდებოდა **„თთუე“**, რაც უფრო მიახლოებული სჩანს მეგრულ თუთასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი (თუთა) რომ არის ამოსავალი ქართული **„თვისა“** და **„მთვარისა“**, სჩანს იქიდან, რომ მისი ეტიმოლოგია უკავშირდება ფრაზას „ირ**თუ თა**ქ“, რაც ქართულად ნიშნავს **„ბრუნავს აქ“**, რომლის შემოკლებულ ფორმასაც წარმოადგენს სიტყვა **„თუთა“**. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველქართული **„თთუე“**, თანამედროვე **„თვე“** და ჩვენი აზრით, ძველქართული, **„მთოვარე“** და თანამედროვე, **„მთვარეც“** ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია მეგრულ თუთასთან, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ფრაზიდან **„ირთუ თაქ“**. თვითონ ქართული სიტყვები თვე (თთუე) და მთვარე (მთოვარე) თავის მხრივ არაფერს არ გვეუბნებიან ამ ცნებათა შესახებ, მაშინ, როდესაც **„თუთა“** (ირთუ თაქ) პირდაპირ მოგვანიშნებს იმაზე, რომ მთვარე ბრუნავს აქ, ე.ი. დედამიწის გარშემო, ხოლო თვე (ასევე, **„თუთა“**) არის დროის ის პერიოდი, რომელსაც მთვარე უნდება დედამიწის გარშემო ერთი ბრუნვის გასაკეთებლად.

ძალზე დიდ ინტერესს იწვევს ეგვიპტური ღმერთის სახელი **„თოთი“**. თოთი, თოტი (ეგვიპტ. დჰოვტი, თუტ, ტჰოტჰ **„მდივანი“, „ღმერთი“**) – ძველ ეგვიპტელთა მთვარისა და ჟამთასვლის, სამართლიანობის, სიბრძნისა და ზომა-წონის მრვალსახოვანი ღმერთი, იეროგლიფების გამომგონებელი, მზის ღმერთის **რა-**ს თანაშემწე, მთვარის განსახიერება (ა. გელოვანი **„მითოლოგიური ლექსიკონი“** გვ. 208).

ძველ ეგვიპტურშიც ეს სახელი კოლხიზმად უნდა ჩავთვალოთ თავისი უნიკალური ეტიმოლოგიის (ირ-თუ თა-ქ) გამო, რომელ ენაშიც ის შესულია მცირედი სახეცვლილებით. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის ძმამ, აქციუსმა (ლ. ალფენიძე) ეგვიპტეში დააარსა ქალაქი ჰელიოპოლი, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ასწავლიდა ასტროლოგიასა და ასტრონომიას. აქედან გამომდინარე, არაფერი გასაკვირი იმაში არ უნდა იყოს, რომ ეგვიპტური თეონიმების ძირები იშიფრებოდეს კოლხურად, რომლის ერთ-ერთ მაგალითსაც წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი სიტყვა.

**იოანე – „იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი”**, რომელიც იმისთვის იყო მოვლინებული, რომ ხალხი იესო ქრისტეს მოსვლისთვის შეემზადებინა. თუმცა, იესოს არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია, მან სთხოვა იოანეს მდინარე იორდანეში მონათვლა, რითაც ღვთის ნებისადმი თავისი მორჩილება გამოავლინა.

მოგვიანებით, იოანეს მხილებებით აღშფოთებულმა ჰეროდე მეფემ მისი შეპყრობა ბრძანა. საპატიმროდან იოანემ იესოსთან მიაგზავნა რამდენიმე თავისი მოწაფე, რათა მისთვის ეკითხათ: **„შენ ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს ველოდეთ?“** იესომ უპასუხა: **„უთხარით იოანეს რაც ნახეთ და მოისმინეთ: ბრმებს მხედველობა უბრუნდებათ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმინდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ“.** შემდეგ იესო მიუბრუნდა გარსმოხვეულ ხალხს და უთხრა, რომ იოანე ნათლისმცემელი წინასწარმეტყველზე დიდია... ვინაიდან... დედაკაცის ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი. ამის შემდეგ სულ მალე ჰეროდეს ცოლმა მზაკვრობით მიაღწია იოანეს სიკვდილით დასჯას: (ბიბლიური ენციკლოპედია, ერთტომეული, 1998, გ. 203).

იოანე ნათლისმცემელმა იესო ქრისტეს მოვლინებაში მამლის ყივილის (**ყ**იონი) როლი შეასრულა. თუ რატომ მამლის ყივილის როლი, ამაში ახლავე დავრწმუნდებით.

როდესაც მამალი იყივლებს (**ყ**იონი), აუცილებლად გათენდება (თანაფა, გათენება), მაგრამ **„თანაფა“** მეგრულად აღდგომასაც ნიშნავს, მამალმა იყივლა (**ყ**იონი), ანუ იონე (**ყ**იონი-იონა) ნათლისმცემელმა იწინასწარმეტყველა იესოს მოვლინება, იესო ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რასაც მოჰყვა მისი მოწამებრივი სიცოცხლე და ჯვარცმა, ბოლოს კი მოხდა მისი აღდგომა (თანაფა, გათენება).

**ყ**იონი (ყივილი) განხორციელდა პიროვნების სახით იონაში (იოანეში).

ამ შუალედში, გათენებამდე დროში შემოდის იესოში ქრისტე და ყალიბდება ის როგორც ღმერთი. მამაღმერთის ნებით ის ჯვარს ეცმევა, მისი წვეთი სისხლისა ეცემა დედამიწაზე, რომელზეც ის აღტაცებით ამბობს: **„აჰა, აღსრულდა“**. ე.ი. მიწიერი, ანუ ადამიანი დაუკავშირდა ციურს, ანუ ღმერთს და ქრისტეს აღდგომასთან ერთად შეწყდა სულის გაფანტვა, ანუ ქვესკნელში დამარხვა, ე.ი. მოხდა კაცობრიობისათვის სულიერი გათენება ანუ თანაფა.

როგორც ცნობილია, კოლხური ტომები განფენილნი იყვნენ, როგორც შავი, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზებში. მათ შორის პალესტინაში და არაფერი გასაკვირი იმაში არ უნდა იყოს, რომ ეს უპირველესი ქრისტიანული მისტერიაა და ამ მისტერიის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის – იოანეს სახელი პირდაპირ კავშირში იყოს კოლხეთთან.

**კითხუა** – ქართულად ნიშნავს კითხვას. **„კითხირი“** ასევე ნიშნავს კითხვას. თუ დავმარცვლავთ გვექნება კით-ხუა (თითით-შობა) და კით-ხირი (თითით შობილი), ან შეიძლება ვიგულისხმოთ, როგორც თითებით შობა, თითებით შობილი.

თუ ასეთი ეტიმოლოგია სწორია, ხომ არ არის ამაში მიჩქმალული კაცობრიობის განვითარების ის უძველესი ერა, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ხელებით და თითებით ესაუბრებოდნენ (როგორც თანამედროვე ყრუ-მუნჯები) და კითხულობდნენ ერთმანეთის ნათქვამს მოსაუბრის თითების მოძრაობის საშუალებით!

**ნუგზარ კვაშილავა**

*(გაგრძელება იქნება)*

# ჩემი სოფლის დიდებული წარსული და გაუკუღმართებული დღევანდელობა

დავიწყებ იმით, რომ 2016 წლის 29 მაისს ნარაზენის ცენტრში აშენებული ეკლესიის ეზო-დარბაზში მოეწყო ნარაზენის მკვიდრთა საზეიმო შეკრება. იმ დღეს იქ დაილოცა 286 გვარი. ღონისძიება ჩატარდა კობა ბერიშვილის და დემურ ჟვანიას, მალხაზ და ბეჟან თოდუების აქტიური მონაწილეობით. კურთხევას ხელმძღვანელობდა ხარების სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა ბესარიონ ცინდელიანი, მრევლითა და ამალით. ნიშანდობლივია, რომ ამ ეკლესიის საძირკვლების ჩაყრის სათავეებთან იდგა ამ სოფლის შვილი აწ განსვენებული ბორის ლომაია. უშუალოდ მშენებლობას უძღვებოდა სოფლის მკვიდრი ლუდუკი ხასია, რომლის პროექტი დღესაც მოქმედებაშია და იმედია, სამომავლოდ მის დასრულებას ბოლომდე მიიყვანს. ამ ისტორიული სოფლის მკვიდრთ ასეთი მასშტაბური აღმშენებლობა ათწლეულების განმავლობაში არ ახსოვს. ყოველივე აღნიშნული ბ-ნ ლუდუკი ხასიას ხასიათში ზის, ბ-ნი ლუდუკი ისეთი საზოგადოებრივი ვალდებულებებით დამუხტული კაცია, მისგან მშობლიური სოფელი კიდევ ახალ სასიკეთო საჩუქარს ჩაიხუტებს.

აღსანიშნავია, ეკლესია ფინანსდებოდა ასოციაცია **"ატუ"**-ს მეშვეობით, ბ-ნ ლუდუკის ხელმძღვანელობით, საქართველოს უცვლელი ქველმოქმედის, საეკლესიო და კულტურულ მშენებლობათა ამაგდარის, მესაჭე ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის მიერ. მისი ფინანსური და მორალური ჩართვა განაპირობა იმან, რომ სოფლის ფინანსური რესურსი ერთობ მწირი აღმოჩნდა ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

ურიგო არ იქნება, თუ ვიტყვით, 29 მაისი სიმბოლურად დაემთხვა სამეგრელოს სასიქადულო შვილის, მეგრული ენის პოპულარიზაციისათვის ტიტანური შრომის ავტორის, ენათმეცნიერ, ბატონი მამანტი ძაძამიას დაბადების თარიღს. მისასალმებელია, რომ ეს დღე გამოცხადებულია მეგრული ენის დღედ!

ღონისძიებაზე მადლიერებით იქნა მოხსენიებული სოფლის შინაარსიანი ისტორია. რევოლუციური წარსულის მქონე ამ სოფელს, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩა მხცოვანი ჭკუანათელი ადამიანები, რომლებმაც ჭკუის კოლოფით დღემდე შემოგვინახეს ამ სოფლის წარსული ნათელი ფურცლები.

საბჭოთა ხელისუფლების ადრეულ წლებში, სოციალისტური სოფლის გარიჟრაჟზე აქ შეიქმნა პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლის პირველი თავკაცი იყო იაკობ თოდუა. დაიწერა სიმღერა: **"არტელში შრომა შეჰფიცეს, შრომაში ერთად მიდიან"...**

არც ისე შორეულ წარსულში, სოფლის მადლიან მიწაზე ფუნქციონირებდა ეკონომიკურად მძლავრი ორი მსხვილი ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა და ი. ბ. სტალინის სახელობის მილიონერი კოლექტიური მეურნეობა (მილიონერის შინაარსი გულისხმობს იმდროინდელ საბჭოთა მანეთს, რომელიც დოლარზე გაცილებით მაღალი იყო).

მეურნეობებს, ჩაის ფაბრიკას და კოლმეურნეობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი სამეურნეო მუშაკები: ალიოშა ცხადაია, სიკო გიგინეიშვილი, ამირან ლაგვილავა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა, მამანტი კვარაცხელია, ომარ ღურწკაია, ბათლომე გრიგოლაია აპოლონ არახამია, გალაქტიონ ნანავა, იასონ ბეჭვაია, ვანო თოდუა, ჯონი ჟვანია, ვახტანგ კვარაცხელია და სხვები.

ისტორიულ ნარაზენში **"ნეპის"** პერიოდში ფუნქციონირებდა სიმინდის მარცვლეულზე მომუშავე სპირტის სახდელი ქარხანა კონცესიონერ გერმანელი ედვარდ პროცერის მეთაურობით. პროდუქცია ფოთის პორტიდან იგზავნებოდა გერმანიაში.

სოფელში ამავე პერიოდში გაიხსნა ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმი, რომელიც იყო სოფლის მეურნეობის კვალიფიცირებულ მუშაკთა სამჭედლო. ტექნიკუმი გაშენებულ იყო ნაძვის ხეების, ბზის ბილიკების, ციტრუსოვანი კულტურების ღრმა ხეივანში. მისი ფერწერული ხედვა ერთობ აღტაცებაში მოიყვანდა ადამიანებს თავისი საცდელი ფართობებითა და ლაბორატორიებით. რა რიგ სამწუხაროა, რომ იქ დღეს ტიტველი ადგილია და ყველაფერი მოგონებად დარჩა. იმ დროს ნარაზენი თავისი ხავერდოვანი ჩაის პლანტაციებით გადაშლილ ნარინჯისფერ ხალიჩას ჰგავდა. სოფელი თავისი არაჩვეულებრივი წარმტაცი ბუნებით ფერწერულ პორტრეტს მოგაგონებდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩაის გაშენების პიონერი იყო ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელმაც ამ კეთილშობილი კულტურის თესლი ჩემოდნებით ჩამოიტანა ჩინეთიდან და ინდოეთიდან.

პოპულარული იყო სარეკლამო ტილო "Чай братья Поповы", რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ კულტურის ფართო დანერგვაში, სწორედ აქედან იღებს სათავეს ის ფაქტი, რომ მთელი საბჭოთა კავშირის, დედამიწის 1/6 ნაწილის მოსახლეობის მოთხოვნის 97%-ს მხოლოდ საქართველო აკმაყოფილებდა.

სოფლის ორიგინალური რელიეფი, რომელიც ბუნებრივად იყო მორგებული ჩაის ხავერდოვანი პლანტაციების გაწყობას. კვადრატებად გამოკვართულ ფართობებს შემოვლებული ჰქონდა მწვანე ქარსაცავი ზოლის ცოცხალი ღობე, რაც ცივ ნიავსაც არ აკარებდა ნალოლიავებ ჩაის პლანტაციებს, კენარი ნაძვებისა, ფიჭვებისა და კიპარისების ცად აშოლტილი შემადგენლობის ფონზე. ზოლი გაშენებული იყო ჭადრაკული გაწყობის პრინციპით. ღობეს მიწის ზედაპირიდან 15-20 მეტრის სიმაღლემდე ქარი ვერ ატანდა, დატოტვილი ხეების შრიალი სიმფონიური მუსიკის ჰანგის მაგვარად ესალბუნებოდა ადამიანის ყურს.

ჰარმონიულ ფონზე იქმნებოდა შრომის სიმღერები და სიმფონიები: ჩონგურის სიმებზე აეწყო **"ქალო ნარინჯიანო", "ხანდაშ უკული ეკვოხედი ყებურიშ კერიას", "მეჩაიე ოსურეფი ჩაის აშაღურჭულანა".** დიდებული შრომის ჰანგებით წიაღში იშვნენ ხვავრიელი შემოსავლებისა და ეროვნული დოვლათის ოსტატები: სოციალისტური შრომის გმირები, ქალბატონები: თამარ ყუფუნია ახალსოფლიდან, ქიონია სარსანია ინგირიდან, ქსენია ბიგვავა ნარაზენიდან და სხვები. ყურს ჭრიდა შრომის ჰეროიკა – **"შესევიან მწვანე ველებს გოგონები, ჭაბუკები"...** ასე იყო სისხამ დილიდან გვიან საღამომდე, შრომის ოფლით ირწყვებოდა ღვთივკურთხეული მიწა და იჭედებოდა, იფურჩქნებოდა ბედნიერი მომავალი. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლების სწორედ ჩაის პლანტაციებში ატარებდნენ შრომით სემესტრებს.

აქ ყველაფერი არ თქმულა. მწვანე ოქროს საკვებად გადამუშავების პროგრამაში მარტო შავი და მწვანე ბაიხის პროდუქცია არ იქმნებოდა. ხარისხიანი ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებას მოსდევდა საშემოდგომოდ ჩაის პლანტაციების გადაპარსვა ე.წ. **"ლაო ჩაის"** დასამზადებლად, რომლის გადასამუშავებლად ქ. ზუგდიდში ფუნქციონირებდა ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომელიც უშვებდა დაწნეხილ ჩაის საკვებ ბრიკეტებს, რაც იგზავნებოდა აზიის რესპუბლიკებში. აქედან იწყებოდა უნარჩენო წარმოების სათავეები.

დასანანია, არც ისე შორეული წარსულით ზეადამიანური ძალის აღმშენებლობა ადამიანთა კეთილდღეობისათვის, ისტორიულად მოკლე დროში, მავანთა და მავანთა ბოროტმა განზრახვებმა საზოგადოებაში კეთრი შემოიტანა და კეთილი დიქტატურა შეცვალა ბოროტების დიქტატურამ. მივიღეთ ის რაც მივიღეთ, კეთილდღეობის საპირწონედ – სიღატაკე. ღვთიური ძალა თუ იხსნის კაცობრიობას, ასეთია ოპტიმისტური ნოტა.

რაკი ვახსენეთ უახლოესი წარსული და უკუღმართობა არ შეიძლება ხაზი არ გაესვას საერთაშორისო ავანტიურისტის ე. შევარდნაძის მიზანმიმართულ მოქმედებებს ჩაის კულტურისა და მისი ხარისხის გაფუჭება-დაცემის საქმეში. **"თეთრი მელას"** გმირობა და ოქროს მედალი მოუნდა: ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად ნამგალი შემოიტანა, უმოწყალოდ იგლიჯებოდა ნაზი დუყები და უხეში ფოთლები ღეროებიანად. ჩაიმ დაკარგა გემო. ქვეყანა მიწერებმა და არარსებულმა **"შემოსავლებმა"** მოიცვა, წყეულმა შევარდნაძემ მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა აგრეთვე საქვეყნოდ ცნობილი ქართული ღვინის ტრადიციულ სახელს, ფალსიფიკაცია ჭირივით მოედო მთელ საქართველოს, ღვინის მარნები და საწყობები ყურძნის მტევნების ნაცვლად შაქრის ტომრებით გაივსო. ავანტიურისტი ე. შევარდნაზე საქართველოში შაქრიანი ღვინის წარმოების არქიტექტორია. ეკონომიკა კორუფციამ და სიყალბემ მოიცვა. შევარდნაძის გასვენების ცერემონიალზე, მისი ჯოჯოხეთში გადასახლების დღეს ჭირისუფლობდნენ ბებერი მეზურნეები ჯეიმს ბეიკერი და ჰელმუტ შულცი.

და რა ხდება დღეს: საქართველოს იმედგაცრუებული ახალგაზრდობა, მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯანსაღი წარმომადგენლები გადახვეწილნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც იაფი მუშახელი ლუკმაპურის საშოვნელად და საკუთარი ოჯახების და ახლობლების შიმშილისაგან გადასარჩენად. ხაზს ვუსვამ: ქართული გენის დიდებული პოტენციალი, უმეტესწილად ქალის შრომის სახით, დღეს გამოყენებულია უცხოტომელთა ოჯახური პიგიენის პირფარეშებად.

საქართველოს საღი ახალგაზრდობის შემადგენლობიდან დღეს ვინ შემოგვრჩა? – ქალაქის წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის 150 შემადგენლობიდან 130 საზოგადოებრივად ტრამვირებული აღმოჩნდა – დაწუნების შინაარსი: ფსიქოლოგიური უკმარისობა, მხედველობა, კვების სიმცირე,. ფიზიკური ტრამვები. არავინ არ იცის როდემდე გაგრძელდება ეს პერმანენტული სიღატაკე და უბედურება...

დღევანდელი გაუკუღმართებული საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მსოფლიო ბუმბერაზი ადამიანის – იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ფენომენს, ბრძენმა ქართველმა თქვა: **"ჯუღაშვილი დედამ შობა და სტალინი საუკუნემ".**

ვაგლახ, რომ დღეს ჩვენ საქართველოში სატანები და სატანების მოციქულები და ათასგვარი ჭინკები ამ ღმერთკაცის ძეგლის აღმართვასაც არ გვაცლიან... და ამ დროს თბილისში რონალდ რეიგანის ძეგლია წამოჭიმული. ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერი ნათქვამია, თუმცა ამ თემის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

რამდენიმე სიტყვა ნარაზენელ ნუკრი და ნანა ლაგვილავა-ბეჭვაიას მრავალშვილიან, ბრწყინვალე მომავლის მქონე ოჯახზე: ნანამ და ნუკრიმ 11 თვალხატულა ვაჟები და გოგონები შესძინეს სამშობლოსა და შთამომავლობას. თერთმეტიდან ცხრა ვაჟი და ქალიშვილი ბუნებრივად ჭადრაკის ნიჭით დაჯილდოებული აღმოჩნდა. ეს ნიჭიერება მათ ოჯახში ისე განევრცო, რომ სახლში, სადაც ცხოვრობენ ერთი ოთახი მუზეუმად დათმობილი აქვთ ამ ნორჩთა შემოქმედებას. აქ უხვადაა გამოფენილი მოზარდების სიგელები, პრიზები და ჯილდოები.

ამ დღეებში, კერძოდ 2016 წლის 10 ივლისს ცხადი გახდა, რომ მაია ბეჭვაიამ ბათუმში 11 ქვეყნის ნორჩ მოჭადრაკეთა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაისაკუთრა. ასევე აიღო ბათუმის მერიის თასი. 2016 წელს, ხანტიმასიისკში, ტიუმენის ოლქში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი 14-წლიანებში, სადაც მონაწილეობას მიიღებს მაია ბეჭვაია, რომელიც, იმედია, მოლოდინს გაამართლებს. ასევე, ოქტომბრის თვეში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატში 10-12 წლიანებში, ბათუმში, მონაწილეობას მიიღებს გრიგორი ბეჭვაია, მაიას უმცროსი ძმა.

გვწამს, მათი სახით, მომავალი გაფრინდაშვილები მოევლინებიან საჭადრაკო სამყაროს. ქ-ნ ნონა გაფრინდაშვილის დაკვალიანებულ გზას ბრწყინვალე მომავალი უწერია.

საამაყოა, რომ მაია ბეჭვაია 14 წლის ასაკში უკვე საქართველოს ჩემპიონია.

**ბორის ბეჭვაია**

# სააკაშვილმა მარია გაიდარი დააჯილდოვა... სიფილისით!



2016 წლის 7 აპრილს საქინფორმმა გამოაქვეყნა ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო ანკეტა, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირებისთვის განკუთვნილ ოდესის ვენეროგიურ კლინიკაში დაუდგინეს დიაგნოზი – **„სიფილისი"**.

როგორც საქინფორმს ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, მიმდინარე პერიოდში ოდესის ოლქის გუბერნატორის ექს-მოადგილე მარია გაიდარი მოსკოვის ერთ-ერთ ვენეროლოგიურ კლინიკაში სიფილისისგან მკურნალობს, რომელიც მას სააკაშვილმა გადასდო.

მარია გაიდარი რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილის ეგორ გაიდარის ქალიშვილი და ცნობილი საბჭოთა საბავშვო მწერლის, მოთხრობის – „Тимур и его команда" ავტორის არკადი გაიდარის შვილთაშვილია. არკადი გაიდარის შვილს (ეგორის მამას) თემური ერქვა და იგი საბჭოთა კავშირის საზღვაო-სანაოსნო ჯარების მაღალი რანგის ოფიცერი იყო.

სააკაშვილის საგუბერნატორო გუნდში მარია გაიდარს დიდხანს არ უმუშავია. უკრაინაში ჩასულმა ქალბატონმა საშინლად შეურაცხყო მშობლიური რუსეთი და საზეიმოდ დაფიცა, რომ თავის ცხოვრებაში იქ აღარასდროს დაბრუნდებოდა!

ოდესაში ჩასვლისას, ჯერ კიდევ თავის მოადგილედ დანიშვნამდე ის უხეშად გააუპატიურა მექალთანე ცვედანმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც მარია გაიდარმა უშედეგოდ უჩივლა პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსთან. თუმცა, ოდესის საოლქო ადმინისტრაციის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ის თავად დანებდა სააკაშვილს და მუდამ საკუთარი ნებით იწვა ლოგინში სააკაშვილთან, რომელმაც იგი მოატყუა დაპირებებით – აშშ-ის ვიზისა და მოქალაქეობის გაკეთებაზე, გარყვნილი სექსის სანაცვლოდ. თუმცა, ყოველივე ამის სანაცვლოდ, სააკაშვილმა მარია გაიდარი სიფილისით დააჯილდოვა...

სიფილისმა სააკაშვილი პრაქტიკულად იმპოტენტად აქცია, რომელიც ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას სუსტი პოტენციით იტანჯებოდა და პოტენციას მისივე ბრძანებით გაკეთებული, გლდანის ციხეში მამაკაცების ანალური და ორალური წამების ვიდეოჩანაწერების ცქერით იმაღლებდა.

სწორედ სექსუალური უძლურებიდან იღებს სათავეს სააკაშვილის სადისტური მიდრეკილებები, რომელიც მხოლოდ ადამიანების სასტიკად წამების დემონსტრირების შემდეგ ახერხებდა სექსუალური კავშირის დამყარებას ქალებთან. ცნობილია სააკაშვილის მხრიდან ქალების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, როცა ამ ძაბუნმა არაკაცმა ანაკლიის სასტუმროში ძუძუ მოაჭამა ერთ-ერთ ქალბატონს.

ნამდვილად დიდი სირცხვილია საქართველოსათვის, რომ ჩვენს ქვეყანას ეს გადაგვარებული არსება ცხრა წლის განმავლობაში ძარცვავდა და ყვლეფდა.

ოდესაში, მისთვის ექსტრემალური სექსის ობიექტად, პოტენციის ამაღლების მიზნით, მარია გაიდარი იქცა: **„ის უბედურ ქალს სხვადასხვა ადგილას აუპატიურებდა,** – ირწმუნება ოდესის საოლქო ადმინისტრაციის თანამშრომელი ქალი, – **თავის კაბინეტში სვამდა მას მაგიდის ქვეშ, საპირფარეშოში, ადმინისტრაციის შენობის კიბის ქვეშ მდებარე ოთახში, სადაც დამლაგებელი ცოცხებს, იატაკის საწმენდ ჩვარებსა და საშუალებებს ინახავდა, პარკში, აბანოში, ხშირად – სამსახურებრივ ავტომანქანაში, ძალით აყოფინებდა თავს მანქანის საბარგულში, გამუდმებით ურტყამდა სახესა და საჯდომზე, ხალხშიც კი, თავისი ქართული გარემოცვის თვალწინ...".**

დღეს მარიას მიერ ცილდაწამებულმა რუსეთმა უკან მიიღო **"ცოდვილი შვილი"**, რომელმაც ძლივს გაასწრო ნეზალეჟნიდან, სადაც გამუდმებით სააკაშვილის გარყვნილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. თავლაფდასხმული მარია გაიდარი ახლა სახლში ზის და სირცხვილისგან გარეთ ცხვირსაც ვერ ჰყოფს, მხოლოდ ტაქსით დააიარება თავის ვენეროლოგთან...

**საქინფორმი**

# გაზეთ „ილორის“ რედაქციას

გაზეთ „ილორის“ 2016 წლის 21-28 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: **“მეუფე პეტრეს კედელზე ხატების გვერდით სააკაშვილის სურათი ეკიდა”.** წერილში საუბარია იმაზე, რომ მეუფე პეტრე შეკრული იყო **“ნაციონალურ მოძრაობასთან”** და იგი ახლაც ხშირად მიემგზავრება კიევში, ასევე თურქეთში სადაც ნახულობს თავის სულიერ შვილს, მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც თქვენ პატრიარქისადმი გაგზავნილ სოფელ სალხინოში მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში წაიკითხავთ, საქმე ეხება ჩვენი წინაპრების საფლავების წაბილწვას, რაც ყოველი სალხინოელის აღშფოთებას იწვევს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს ღია წერილით მივმართოთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, რომელსაც ვთხოვთ მიიღოს საჭირო ზომები იმ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით, რაც დღეს სოფელ სალხინოში ხდება.

ბატონო რედაქტორო! აღნიშნული წერილების გამოქვეყნებისა და ჩვენი სატკივარის გულთან მიტანისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

თქვენი გაზეთის მკითხველებს კი ვთხოვთ გამოგვეხმაურონ.

სალხინოელები

**უწმინდესს და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს და წმინდა სინოდის წევრებს**

**მარტვილის რაიონის სოფ. სალხინოს (წაჩხურუს უბნის) მცხოვრებთა კოლექტიური**

## განცხადება

მოგახსენებთ, რომ სალხინოს მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია მეუფე პეტრეს უარყოფითმა დამოკიდებულებამ ხალხისა და ეკლესიისადმი. მეუფე პეტრემ სალხინოში არსებული ეკლესიები აქცია **“ბიზნეს ცენტრად”**, ყოველთვე გაუსაძლისი მდგომარეობის გამო კი, ბერთა უმრავლესობა, გაურბის მეუფის სასტიკ ზეწოლას. კერძოდ, გვინდა გაგაცნოთ სოფ. სალხინოში არსებული მდგომარება: სალხინო-დიდიჭყონის დამაკავშირებელი ხიდისგან, რომელიც შეკეთდა დღევანდელი ხელისუფლების დროს, დარჩა მეორადი კონსტრუქცია, რომლის წონაც იყო 66 ტონა და შეფასებული იყო 30 000 ლარად. სალხინოს მოსახლეობის თხოვნით, იგი უნდა მოხმარებოდა სოფელ სალხინოს მოსახლეობას, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა არის ხიდის გარეშე, რაზეც რაიონის ხელმღვანელობამ თანხმობა განაცხადა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და მეუფე პეტრემ გამოგზავნა დაქირავებული მუშები, რომლებმაც დაიწყეს ხიდის კონსტრუქციის დაჭრა, რათა ჩაებარებინათ ჯართში. მანვე გამოგზავნა საეკლესიო პირები, რომლებიც მოსახლეობას უყვიროდნენ და ეუბნებოდნენ, რომ **“ეს მეუფე პეტრემ ჩააწყო, ჩვენ ფული გვჭირდება და უნდა გავყიდოთ, თქვენ ვინ გეკითხებათ, ამ წინააღმდეგობის გამო უფალი დაგსჯით”**-ო. ამგვარმა უსამართლობამ და მეუფის არაადამიანურმა საქციელმა მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა მეუფე პეტრემ თავისი გაიტანა და ხიდი, 15 000 ლარად, ქ. ქუთაისში ჯართად ჩააბარა. დარჩენილი ხიდის 10% მოსახლეობას დაუტოვა და განაცხადა: **“ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, სხვა წაიღებდა და საერთოდ არაფერი დაგრჩებოდათო”.**

ასევე, მოგახსენებთ, რომ სოფ წაჩხურუში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ეზოში, სადაც დასაფლავებულია ჩვენი წინაპრები და ამჟამადაც მოქმედი სასაფლაოა, მეუფე პეტრეს მითითებით ყველა საფლავს, რომელიც იყო შემოკავებული, ვანდალურად მოხსნეს ღობეები და გაყიდეს. ეკლესიაში მოღვაწე ბერებმა განუცხადეს მოსახლეობას, რომ ამ საფლავებს თვითონ შემოაკავებდნენ და ყვავილებსაც დაურგავდნენ ირგვლივ, მიცვალებულებს კი ქვის ლოდებს დაასვენებდნენ, თუმცა მივიღეთ სულ სხვა სურათი – სასაფლაოს ტერიტორიებზე ჰყავთ ძროხები, საფლავის ღობეებით მოაწყვეს საღორეები, საპირფარეშოს ფეკალური მასები კი მდინარეში ჩაედინება, მიუხედავად მოსახლეობის თხოვნისა, მდგომარეობა არ შეცვლილა. ეხლა გვეუბნებიან, რომ ჩევნ აქ ვცხოვრობთ და საფლავები სხვაგან უნდა გადაიტანოთო, ხოლო ეზოს ტერიტორიაზე, სადაც მიცვალებულების სამარხი ადგილია, დაიწყეს ხეების დარგვა, რათა აიძულონ მოსახლეობა იძულების წესით გადაიტანონ მიცვალებულები სხვაგან. ეს არის ის მცირე ჩამონათვალი პრობლემებისა, რომელიც მოგახსენეთ. ჩვენ, სოფლის მოსახლეობა, ამ წერილის პასუხის მიღების შემდეგ, თუ არ იქნება საკადრისი ზომები მიღებული, იძულებული გავხდებით, რაც ჩვენთვის ძალიან მძიმეა, მაგრამ სხვა გზას ჩვენ ვერ ვხედავთ – დავიწყოთ გაფიცვა მეუფე პეტრეს წინააღმდეგ, რაც იქნება დიდი სირცხვილი! მწუხვართ, სოფლის მოსახლეობა, რომ გვიწევს ამ წერილის გამოგზავნა, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული და გვწამს, რომ ჩვენი პატრიარქი და წმინდა სინოდი აუცილებლად გაითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას და მოძალადე მეუფე პეტრეს საკადრის პასუხს გასცემს.

წერილს თან ერთვის 150 ხელმოწერა;

**გაზეთ “ილორის” კომენტარი:** ***თუ ამ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, და ალბათ შეესაბამება, ვინაიდან 150 ადამიანი სიცრუით გაჯერებულ პეტიციაზე ხელს არ მოაწერდა, მით უმეტეს იმ პეტიციაზე, რომელიც მაღალი სამღვდელოების წარმომადგენელს ამხელს ძალადობასა და საერო პირისათვისაც კი მიუღებელ საქციელში, მაშინ ამ ადამიანის მიმართ მკაცრი ზომები უნდა გაატაროს სინოდმა, რადგან სწორედ ხარბი და ანგარებიანი მღვდელმსახურები ურყევენ ავტორიტეტს ქართულ ეკლესიას და სალაპარაკოს აძლევენ მასონთა მიერ დაქირავებულ არამზადებს, რათა კიდევ უფრო მეტი ლაფი მიასხან მართლმადიდებლობას!***

***საერთოდ მიუღებელია რელიგიის მსახურის აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ როცა მღვდელმსახური მხარს უჭერს ბანდიტურ-დაშნაკურ ანტირელიგიურ და ანტიქართულ პოლიტიკურ ძალას “ნაცმოძრაობას,” ასეთი მღვდელმსახური ეკლესიას კი არ უნდა ჩამოაშორო, საერთოდ უნდა მოკვეთო და გააძევო საქართველოდან!***

***იმედია, რომ საქართველოს სინოდი დამსახურებისამებრ მიუზღავს ეკლესიის წიაღში ჩაბუდებულ ყველა არამზადას, კონკრეტულად კი მეუფედ პეტრედ წოდებულ თვალთმაქცს!***

# მიმართვა ქართველ ერს!

ჩვენო ქართველებო, სწორედ, ხუნტისა და ე. წ. ხელისუფლების ზეობის შედეგია: ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, სიძულვილი, დაუნდობლობა, საერთო ნიჰილიზმი და სასოწარკვეთა. სწორედ მათი **„დამსახურებაა“** იმ არაქრისტიანული, არაეროვნული, არატრადიციული ცნობიერების და ცხოვრების წესის დანერგვა, რომელიც ღუპავს ჩვენს ქვყანას. მათგან მოდის ფსევდო ამერიკულ-დასავლური ორიენტაცია, ეროვნული და ზნეობრივი გადაგვარება. ყოველივე ამას, ისინი შეგნებულად ნერგავენ, რითაც იმ დიდი სატანისტური საძმოს დავალებას ასრულებენ, რომელმაც მოავლინა ისინი საქართველოში და ჩააბარა საჭე ხელისუფლებისა. მათთვის დამახასიათებელია მხოლოდ უზნეობა: სიცრუე, სიყალბე და გამცემლობა, ყველაფრის გაყიდვა-დახურდავება მატერიალურ ფასეულობებზე, სულიერი ღირებულებების სრული იგნორირება-უარყოფა. და ეს, უპირისპირდება არამარტო მართლმადიდებლობას, არამედ, საერთოდ, ყოველგვარ ზნეობას.

მართლმადიდებლური ზნეობა ჩვენი ისტორიული ზნეობაა და ამას არ უნდა ვუღალატოთ. მართლმადიდებლობა უნდა იყოს ჩვენი ერის ცხოვრების საფუძველი. ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმედა. იგი უნდა იქცეს მომავალში ჭეშმარიტ წმინდა ეკლესიად. საქართველოში ჩვენი ახალგაზრდობა დღეს არის უმწყესოდ დარჩენილი ფარა, რომელსაც ცხვრის ტყავში გახვეული მგლები დაჰპატრონებიან.

მტერმა პირველ რიგში ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, რომლებმაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის.

საქმე ის გახლავთ, რომ მასონების მიერ დაქირავებულ მონებს, შეგნებულად სურთ ქართული ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ზნეობის განადგურება, რათა, უკეთ, გადააგვარონ და მოსპონ ქართველი. ზნეობრივად რყვნიან ახალგაზრდობას, ამიტომ, გთხოვთ, ძალიან ნუ გაგიტაცებთ **„სილამაზის კონკურსების“, „ცეკვავენ ვარსკვლავების“** და მსგავსი ღონისძიებები, კიკინიანი და საყურეებიანი მამაკაცების მონაწილეობით.

ისტორიულად მრავალგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის გადარჩენისა და აღორძინებისათვის, ჯერ, ეკლესიის განწმედაა საჭირო. საქმე ის გახლავთ, რომ ფარისევლობაში დაბრძენებული მოწინააღმდეგე, თვით საპატრიარქოს მესვეურთა ხელშეწყობით, ცდილობს ცალკეული უჯერო სასულიერო პირისა და ეკლესიის გაიგივებას რელიგიაში გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში, რათა, ამით, ერთის სიძულვილით, მეორეც შეაჯავრონ. კაცობრივი ცოდვა ღვთაებრივ სიწმინდეს გადააბრალონ.

ღალატი უმძიმესი ცოდვაა, მისი სიმძიმის ხარისხი იმის მიხდვით გაიზომება, როგორ და რა ვითარებაში და ვის მიმართ არის იგი ჩადენილი. სამშობლოს და ღვთის მიმართ ჩადენილი ღალატი კი, ყველაზე მძიმეა.

ქართული ეროვნული ცნობიერება უნდა აღდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ხელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. ეს კი, ჩვენი ბრძოლის მთავარი მიზანია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს, ერთადერთი გზაა გადარჩენისა!

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას **„კავკასიის ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის“** 3035 მებრძოლის სახელით:

**გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური,**
**სირია, დამასკო**

**“ილორის” კომენტარი:**

**სირიაში მცხოვრებო ჩვენო თანამემამულეებო!**

**დღეს, როგორც არასოდეს, ისე სჭირდება ჩვენს სამშობლოს თითოეული პატრიოტი ქართველის თანადგომა, რადგან ევროამერიკელ მასონთა ბოროტი ნებით რეანიმირებული ნაცდაშნაკური მოძრაობის ლიდერები კვლავ იმუქრებიან რევოლუციითა და სისხლისღვრით, რათა ბნედიანი, სიფილისით გონებადახშული სააკაშვილის მეთაურობით ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და უფრო აქტიურად გააგრძელონ საქართველოს დანგრევა-განადგურების პროცესები!**

**იფიქრეთ იმაზე, რომ სამშობლოს თქვენი მხარდაჭერა სჭირდება და ჩამოდით საქართველოში!**

**იმედი გვაქვს, გამოეხმაურებით ჩვენს ამ მოწოდებას!**

---

*(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)*

ეხლა გავერკვიოთ გოთების ბელადების – ბერიგე და ფილიმერის ვინაობაში. კონსტანტინოპოლის დიდ დარბაზში კედელში მოზაიკით გამოხატულია გოთების ბელადის სახე, რომელიც VI-ს-ს განეკუთვნება. ჩემის აზრით ეს არის ბელადი ფილიმერი. ჩემი ინტერესი გამოიწვია თავად ამ ტიპაჟის ფიზიონომურმა ვიზუალიზაციამ. მოდით თავად ნახეთ ეს მოზაიკა და დარწმუნდებით ჩემი მტკიცებულებების ჭეშმარიტებაში.



გავს ეხლა ეს ანფასი გერმანელს? მე, როგორც კი შევხედე ამ მოზაიკას უცებ თავში ამოტივტივდა ერთადერთი მსგავსება.



გეცნობათ ხომ? დიახ, ბატონებო, **,,გოთები“** იყვნენ ძველი ქართული ცივილიზაციის ნამსხვრევები, რომელნიც წარღვნის შემდეგ გაიფანტნენ მსოფლიოს სხვა და სხვა მხარეს. შეიძლება ეს ჩემი ნაშრომი დაუჯერებლად მიიჩნიოს ბევრმა (თუმცა მოიყვანეთ საპირისპირო, ან რა უნდა თქვას ვინმემ, რადგან რასაც ვწერ, არის ის რაც არის და ყველაფერი ათიანში ჯდება, ყველაფერი – აზრი და სიტყვა ერთმანეთს შეესადაგება და ავსებს, მაგრამ მაინც მინდა ბოლომდე დაგარწმუნოთ რათა სადაო თემა არ დავტოვო. მეტი რა გავაკეთო? თუ მეცნიერთა აკადემია არ ილაპარაკებს და თუნდაც მეც მომკლან, ჩემს მაგიერ ქვები იღაღადებენ!!!

მინდა მოვიყვანო ძვ. გერმანელი პოეტის ფრიად საყურადღებო ლექსის ტექსტის თარგმანი, სადაც ზემოთ ჩემს მიერ მოყვანილ მტკიცებულებებს ერთბაშად განამტკიცებს. თუმცა, ყველაფერი თავად ნახეთ.

*„...ძნელია, ძნელი, მიატოვო წმინდა სავანე,*

## კოლხეთის დროშა

*სადაც შობილხარ, გიცხოვრია, გალაღებულხარ...*
*ასე ფიქრობენ: მსგავსი მხარე სად იქნებაო!*
*სადაც ვცხოვრობთო ასე ლაღად და ბედნიერად!*
*მე კი მიმიწევს გული კავკასიაში!*
*რადგან მსმენია, თითქოს ზღაპრად გამიგონია:*
*რომ აქ მგოსნები მერცხლებივთ დანავარდობენ, –*
*მათი ხვედრია თავისუფლება!*
*გარდა ამისა, ბავშვობაში მიამბეს ისიც,*
*რომ გერმანული ტომი ჩვენთა მამა-პაპათა,*
*სამხრეთ წასულა, აჰყოლია დუნაის ზვირთებს,*
*ჩრდილს დაეძებდა მზიან დღეში*
*და მზის შვილებთან, შავი ზღვის პირას,*
*გაშლილ ველზე დასახლებულან, –*
*ამ დალოცვილი ქვეყნისათვის*
*განა ტყუილად*
*უწოდებიათ სტუმართმოყვარე!*
*რადგან ესტუმრა კოლხებს უცხო ხალხი თუ არა,*
*მიუახლოვდნენ უცნობსა და ცნობის მოყვარეს,*
*ზეთისხილის ქვეშ დასვეს თურმე მშვიდობიანად...*
*უცხო ემოსათ, უცხო იყო ენა მოსულთა,*
*და ვერაფერი ვერ გაუგეს ერთი მეორეს.*
*ის იყო, უნდა ჩამოეგდოთ განხეთქილება,*
*მაგრამ ფოთლები აშრიალდნენ მაცოცხლებელნი,*
*სტუმარ-მასპინძელს გაებადრა ღიმილით სახე;*
*ერთხანს ერთმანეთს შესცქეროდნენ მშვიდი ღიმილით,*
*მერე მარჯვენა გაუწოდეს ერთი-მეორეს,*
*ძმურად გაცვალეს იარაღი, გაცვალეს სიტყვა,*
*სიამტკბილობა გადავიდა მამიდან შვილზე,*
*წმინდა კავშირი საქორწინო შეიქმნა შემდეგ,*
*იზარდა ტომი...*
*სად ცხოვრობ ახლა, ხალხო, ჩემო სისხლო და ხორცო?*
*რათა ხელახლა შევკრათ იგი კავშირი წმინდა*
*და მოვიგონოთ მამა-პაპა დაუვიწყარი!...*

ფრიდრიხ ჰოლდერლინი (1771-1843)

პელაგონი მოღელავს მეგობრებო, პელაგონი და მას ვერაფერი შეაჩერებს!!!

დავით თორდია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ალფრედო დი სტეფანო – 90

*ანუ იუბილე, რომელმაც ფრანკოს ავაზაკობა გამახსენა...*

*...4 ივლისი ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს დაბადების დღეა...*

*გენიალური არგენტინელი მობურთალი 90 წლის გახდებოდა...*

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ქართველ ახალგაზრდობას გვყავდა ჩვენი სპორტული ლეგენდები – ბორის პაიჭაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა... მაგრამ ჩვენთვის ასევე ლეგენდად რჩებოდნენ მსოფლიო ფეხბურთის გრანდები ლანგარა, კარბახალი, პუშკაში, ჰიდეგკუტი, ჰენტო, გარინჩა, სანტოსები... უცხოელ ფეხბურთის გრანდთა შორის კი ჭეშმარიტად გამორჩეული გახლდათ არგენტინელი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ესპანურ ფეხბურთს! მე მქონდა ბედნიერება 1958 წელს მეხილა ამ მართლაც ლეგენდის თამაში, როცა საბჭოთა კავშირის იუნიორ სპორტსმენთა ჯგუფთან ერთად უნივერსიადაზე ვიმყოფებოდი ესპანეთში.

სწორედ ეს დიდი სპორტსმენი გაიხსენა ჩვენმა მეგობარმა და კოლეგამ ზურაბ კვარაცხელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მივუძღვნი მას.

როლანდ ჯალაღანია



ვისაც როგორც სურს ისე გაიგოს და ალფრედო დი სტეფანოს სახელი და გვარი უკავშირდება ერთ სამარცხვინო ისტორიას, რომელშიც თავად დი სტეფანოსთვის არა, მაგრამ მადრიდის **„რეალისთვის"** ნამდვილად არაფერია სატრაბახო... ისტორია კატალონიური საფეხბურთო კლუბიდან მადრიდულ საფეხბურთო კლუბში მომავალი სუპერვარსკვლავის გადაყვანას ეხება... თუმცა, ამაზე, ქვემოთ...

...მეოცე საუკუნეში კასტილიური კლუბის ე. წ. საუკეთესოობა, რაზეც მომაბეზრებლად აპელირებენ მისი ფანები – მეტწილად დიქტატორ ფრანცისკო ფრანკოს მხრიდან ძალადობის და უსამართლობის შედეგი იყო... ცნობილია, რომ ავაზაკი ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის პირობებში არნახული წნეხის და გაუგონარი დისკრიმინაციის პირობებში უხდებოდათ ასპარეზობა კატალონიურ „ბარსელონას" და ბასკურ „ატლეტიკოს" (ბილბაო)... დიახ, იმას რასაც ამ კლუბების მიმართ სჩადიოდნენ – სხვა არაფერი იყო თუ არა უკიდურესი შოვინიზმის, ფაშიზმის გამოვლინება...

შესაძლებელია ახლა ვინმე ფანი აბდალი ფირალივით გამომიხტეს და მთლად ფიშტო თუ არ დამახალა – ჩემკენ ტალახი მაინც გამოისროლოს, მაგრამ არ ვარ იმ ჯურის, რომ ამან საკუთარი აზრები შემაცვლევინოს... ობიექტურობისთვის ვიტყვი: **„ბარსელონას"** (ასევე ბილბაოს **„ატლეტიკოს"**) და ე. წ. სამეფო კლუბს (ადრე **„მადრიდი"** ერქვა და **„რეალი"** შემდეგ ფრანკომ დაანათლა) შორის მეტოქეობა, კონკურენცია მართალია ყოველთვის დაძაბული იყო, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ამან ფრანკოს რეჟიმის დროს მიიღო... თავისთავად არაფერია საძრახისი სპორტულ მეტოქეობაში, მაგრამ ფრანკოს რეჟიმის პერიოდში ჯანსაღი სპორტული დაპირისპირება უკვე გადაიზარდა მახინჯ შოვინიზმში და ეთნიკურ ჩაგვრაში...

ფრანკოს რეჟიმი ძალადობდა ბასკებზე და კატალონიელებზე, ძალადობდა ეთნიკური ნიშნით და ეს ძალადობა ვლინდებოდა ფეხბურთშიც... **„რეალის"** და **„ბარსელონას"** მეტოქეობის ისტორიაში ასე თუ ისე ჩახედულებმა იციან თუ როგორი ამაზრზენი ფაქტი მოხდა 1943 წელს: ესპანეთის თასის გათამაშებაში **„ბარსას"** და **„რეალს"** შორის პირველი შეხვედრა 3-0 მოიგო კატალონიურმა კლუბმა. აი, განმეორებითი შეხვედრა კი **„რეალის"** **„გამარჯვებით"** 11-1 დასრულდა და ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე თუ როგორ ამაყობენ და როგორ აპელირებენ ამ ვითომ დიდი ანგარიშით მოგებაზე მართლაც უტიფარი ფანატიკოსები... არადა, ფაქტი ისაა, რომ საკუთარი გუნდის ქომაგებს მადრიდელთა მესვეურებმა სასტვენები დაურიგეს, რათა **„ბარსელონას"** ფეხბურთელთათვის ნერვები მოეშალათ, გაეღიზიანებინათ ისინი...

ეს კიდევ არაფერი: მატჩის დაწყებამდე **„რეალის"** უსაფრთხოების სამსახურის შეფი ხოსე მარია ფანატი (შემდგომში მადრიდის მერი) კატალონიელებს გასახდელში არც მეტი არც ნაკლები კბილებამდე შეიარაღებული შეუვარდა... ეს გარეწარი ფიზიკური განადგურებით დაემუქრა მობურთალებს თუ ისინი გაბედავდნენ და კასტილიელთა წინააღმდეგ მთელი ძალით ითამაშებდნენ...

სხვათა შორის, მატჩის წინა და მატჩის დროს მიმდინარე მოვლენები დაწვრილებით აღწერა ახალგაზრდა ჟურნალისტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა (შემდგომში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლეგენდარული პრეზიდენტი)... ცხადია, ამ მიმოხილვის გამოქვეყნებას ჟურნალისტისთვის სამსახურის დაკარგვა მოჰყვა...

...ახლა, რაც შეეხება გენიალური არგენტინელი მობურთალის, ალფრედო დი სტეფანოს ბარსელონურ და რეალურ ისტორიას... საქმეც იმაშია, რომ ახალგაზრდა დი სტეფანოს ტრანსფერი თავდაპირველად **„ბარსამ"** განახორციელა და მისი პრეზენტაციაც გამართა... დიქტატორმა ფრანკომ არც აცია, არც აცხელა და შეიარაღებული სატრაპები მეორე დღესვე მიავლინა ბარსელონაში... ესპანელი (კასტილიელი) ფაშისტი დიქტატორის განკარგულებით ალფრედო დი სტეფანო უცერემონიოდ წაართვეს **„ბარსელონას"** და მადრიდში მატარებლით ჩაიყვანეს...

როგორც იტყვიან, აქ კომენტარიც კი ზედმეტია, მაგრამ ფაქტია, რომ **„რეალის"** ისტორიაში ეს სამარცხვინო შავი ლაქაა... არასოდეს რომ არ გათეთრდება, არასოდეს რომ არ წაიშლება ისეთი შავი ლაქაა ეს... აი, ამის შემდეგ, დი სტეფანოს ამ **„ტრანსფერიდან"** დაიწყო მადრიდელთა დომინირებაც როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო სარბიელზე... ვინმეს ეს თუ არ სჯერა – კი ბატონო, ნება მისია, მაგრამ გადახედოს სტატისტიკას და ნახოს თუ როგორია რეალობა... აბა გავიხსენოთ ის, თუ რამდენჯერ მოიგო ჩემპიონთა თასის გათამაშება ამ გუნდმა ლეგენდარული არგენტინელის პერიოდში და მივხვდებით იმასაც, რომ მეოცე საუკუნეში ფრანკოს საყვარელი გუნდის რეალური წარმატებებიც უწინარესად მაინც კანონის დარღვევით და უნამუსოდ მისაკუთრებული **„ბარსელონას"** მოთამაშის ანუ ალფრედო დი სტეფანოს სახელთანაა დაკავშირებული...

... აქ დავასრულებ ამ არასასიამოვნო ისტორიაზე წერას... დავასრულებ ამ სიტყვებით:

უფალმა გაანათლოს დიდი არგენტინელი მობურთალის, ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს სული...

ზურაბ კვარაცხელია

P. S. *ნამდვილად არ დამიწერია ეს ვინმესთან დაპირისპირების სურვილით... ბარემ ვიტყვი ამასაც, რომ ბევრჯერ მიმიღია სიამოვნება მადრიდელთა ლამაზი და სანახაობრივი ბურთაობით... შეუძლებელია არ ვიყო მოხიბლული ბევრი მადრიდელი მოთამაშის ვირტუოზობით... შეუძლებელია უდიდესი სიმპატიებით არ ვიყო განმსჭვალული თუნდაც ლეგენდარული მადრიდელების – რაულ გონსალეს ბლანკოს და იკერ კასილიასის მიმართ... ასე რომ, ვერ მივიღებ ამ თემაზე უსაგნო და უაზრო კომენტარებს...*

ზ. კ.

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

– ბოლო დროს ძალიან დაბნეული გავხდი – შესჩივის მეგობარი მეგობარს.

– რას გულისხმობ?

– დღეს დილით, საუზმის დროს, მოხარშულ კვერცხს ვაკოცე, ცოლს კი შუბლზე კოვზი მივუკაკუნე,– პასუხობს დარცხვენილი.

***

არდადეგებზე ქალიშვილი სოფელში ჩადის, შეაღებს კარს და მხიარული ხმით დაიძახებს:

– დედა, მე უკვე ბიჭი მყავს!

– მართლა? რა კარგია! სად სწავლობს?

– სად უნდა სწავლობდეს, დედა, ჯერ ორი თვისაა!

***

– მამა, დედაშენი გცემდა ხოლმე?

– არა, მარტო დედაშენი!

***

– რა გეჩქარებათ? – მიმართავს სიძე წასასვლელად გამზადებულ სიდედრს, – ჯერ მხოლოდ 6 საათი, 32 წუთი და 16 წამია, რაც ჩვენთან ხართ...


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**




დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge